


F1294

ხელნაწიხის უფლაბი



ქართული
ენების ენციკლოპედია

1921

თავისუფალი

საქართველო

№ 1.

15 მაისი, 1921 წელი.

№ 1.

რედაქციისგან.

საქართველოში წითელ არმიის შემოსვლით გაუქმდა თავისუფალი აზრი და დამოუკიდებლობა საქართველოს რესპუბლიკის.

ქართველ მოქალაქეს დღეს უფლება აქვს მხოლოდ იეგმოს „ბედნიერება“ კომუნისტურ სამოთხის, მაგრამ არ შეუძლია თავის მსჯავრი გამოთქვას მის შესახებ. მისი განცებრივი საზრდო დღეს მხოლოდ-და კომუნისტთა დაუსრულებელი ბაქიაობის და დემაგოგის მოსმენაა. არც სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყანაზე, არც სწორი აზრი მის გასაშუქებლად, რაც მას დაატყდა თავს კომუნისტური უხეში ძალის შემოსევით: ერთიც და მეორეც აქრძალული ხილია. რუსული წითელი არმია ვახდა ბატონი ერის და მოკარნახე მისი აზრების. ჯაკვი დაადვეს ხალხის ნებას და კლიტე მის გონებას.

მაგრამ ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ შეუფრიგდება ამ უსაშინელეს მონობას და უხემ მებატონეთა თარეშს.

მისი მისწრაფებაა—კვლავ გახდეს მკედელი თავის ბედის და მესვეფერი თავის მომავლის.

ასეთ პირობებში მთავრობა, რომელსაც მთელი საქართველოს ხალხი სამი წლის განმავლობაში ერთსულოვნად უქერდა მხარს და დარწმუნებული ვართ დღესაც უქერს, ვალდებული იყო ეზარუნა, რომ მისი მისწრაფების განხორციელებისთვის ხელი

შეეწყო და პირველ-ყოველისა მიეწოდებია მისთვის ნამდვილი ცნობები და უტყუარი სურათი ჩენი დღევანდელი მდგომარეობის.

და აი მთავრობასთან დაარსებული პოლიტიკური კომისია, რომელიც ცდილობს შეაერთოს ყველა ჯგუფები და მიმდინარეობანი ჩენი დამოუკიდებლობის ნიადაგზე, შეუღდა ჟურნალის გამოცემას, რომ თავისუფალი აზრი და სწორი ცნობები აუწყოს სიმართლეს მოწყურებულ საქართველოს.

რა არის ჩენი მიზანი?

ჩენ ღრმად გვრწამს და თვითეულ პატრიოსანი ქართველი, თავის ხალხის გულშემმატიკვარი, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველო, დღეს უხემ ძალისგან გათელილი, კვლავ დაუბრუნდება დამოუკიდებელ ცხოვრებას და სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. და ჩენი საზრუნავია ამ დღის მოახლოვება. ამისთვის კი საჭიროა პირველ ყოველისა გონების მოკრეფა, წარსულის დაფასება, აწმყოს გაგება და მათი საშვალეებით მომავლის გათვალისწინება ე. ი. შეგნება იმ გზის, რომელიც მიგვიყვანს ახლო და მალე სრულ განთავისუფლებამდე.

თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო, საქართველო ხალხის ნებისყოფის თანახმად მოწყობილი, მისი ნდობით აღტუთვილ მართველობით და მისგან მოწონებულ დემოკრატიულ წეს-

საქართველოს
გარეგნული
გაზედ იმთევა



წყობილებით—აი ჩვენი ლოზუნგი, აი რას ვეშახტებოთ ჩვენ.

ჩვენი პროგრამა ამ მხრივ სადა და მარტო: მოჰალადე რუსის „წითელი“ ჯარის გაყვანა საქართველოდან, და ხალხის—თვით-გამორკვევის უფლების აღდგენა—აი ამას მოკითხოვთ ჩვენ და აქეთვე მოვეუშობთ ქართველ ხალხს.

სამი წლის ბრწყინვალე ისტორია დამოუკიდებელ საქართველოსი და ხალხის უნარი, რომელიც მან გამოიჩინა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ერთის მხრით, ერთსულ-ოვანი თანავარჯიშობა პროლეტარულა ეკროპის და სერიოზული დანტერესება ჩვენის მდგომარეობით დიდი ევროპული სახელმწიფოების მიერ მეორე მხრით, აი ეს გვიმტკიცებს ჩვენ იმედს—რომ დასახული მიზანი მიღწეულ იქნება.

საქართველო ღირსია დამოუკიდებლობის და იგი აღსდგება მკვდრეთით—აი ჩვენი ურყევი რწმენა.

ვაუშარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

16 მარტის ხელშეკრულება.

(რუსეთსა და ანკარას შორის)

მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ აიხადა პირბადე და თავის შავი გული და თეთრი კბილი გამოაჩინა. მან მოგვცა 16 მარტის ხელშეკრულება.

რას შეიცავს იგი?

იგი სოლიდარობის და სოციალიზმის (ვაი სირცხვილო!) სახელით ნაკუწ-ნაკუწათ კრის პატარა საქართველოს და სოცხეთს, ოსმალეთის ფაშების გულის მოსაგებად, სკრის იმ ქვეყნებს, რომელიც მისგანვე აღიარებული დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ.

სომხეთს ჩამოსკრეს ყარსი, ხოლო საქართველოს ჩამოაცალეს მისი უდავო ნაწილები: მთელი არტანუი, არაგვისი და ნა-

წილი ბათომის ოლქისა, თურქეთის ქალაქი ბათომი კი ოსმალთა პორტო-ფრანკოთ აქციეს.

ამ რიგით 16 მარტი იმეორებს ცნობილ ბრესტის ზავს, მაგრამ უფრო სამარცხვინო და შემზარავ პირობებში.

ბრესტში რუსეთი დამარცხებული იყო და მასასადამე იძულებით მოქმედებდა. 16 მარტს მოსკოვი გამარჯვებდას დღესასწაულობდა და მაინც იგივე სისაძაგლე განიმეორა. სხვისი ტერიტორია, დამოუკიდებელ ქვეყნების მიწა-წყალი უტიფრათ შესთავაზა თავის მოკავშირე ფაშებს.


რას ნიშნავს ეს?

ვინ მისცა ამის უფლება მოსკოვს?

ეს ნიშნავს, რომ გათავებებული საბჭოთა კომისრები აღარ ფარავენ თავის გულის ნადებს. ისინი ცინიკურათ დასკინიან პატარა ერებს, ფეხქვეშ სთელავენ სამართლიანობის ელემენტარულ წესებს და პრინციპებს, ურცხვათ უარყოფენ თავის გუშინდელ სიტყვას და პირობას. და ამის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვიკითხოთ, სადღა, საქართველოს მხსნელო კომუნისტებო, დამოუკიდებლობა საქართველოსი, თუ მის მიწა-წყალს მოსკოვი განაგებს, სკრის, კუწავს, არიგებს და ანაწილებს? სადღა მისი მთლიანობა და გაერთიანება? ეს უსირცხვილო ხელშეკრულება ხომ საქართველოს სუვერენობის შემლახველია, იგი ხომ ჩვენი ხალხის და მისი რესპუბლიკის შეურაცხყოფელია! დიახ ასეა, და ქართველი ხალხი მას არასოდეს არ მიიღებს, არ შეურიგდება.

და ჩვენ მას უარყოფთ, როგორც ყოველ იურიდიულ ძალას და მნიშვნელობას მოკლებულს, როგორც მრძალადგობის და უტიფრობის ნაყოფს.

ქართველი ჯარის-კაცები, ომისგან მოქანტულნი, უკანასკნელ წუთებში თავგაა



მეტებით ეკვეთენ ბათომში შემოსულ ოს-მალთ, რომ ორი ბატონის ნაცვლად ერთის მეტი მაინც აღარ გასჩენოდა დაობლებულ საქართველოს და მის დაყოფას ადგილი არ ქონოდა. მათ მტერი სძლიეს, მაგრამ გალაღებულმა კომუნისტებმა აქაც მათი სისხლით მოპოვებული გამარჯვება არაბათ აქციეს.

სწორეთ ამ გამარჯვების დღეებში მოდიოდა მოსკოვიდან ეს უმაგალითო ხელშეკრულება, რომელიც აკანონებდა საქართველოს დაქვემდებარებას და ბათომ-ართვინ-არტანუხის გადაცემას ანგორის მთავრობისათვის.

ქართველი კომუნისტები ამ უსაშინელეს დამამცირებელ აქტს სიტყვის შეუბრუნებლად იღებენ და თავის გამმართახებელ მოსკოვს ხობასაც ასხამენ.

მოსკოვის ხიშტებზე დაყრდნობილი, ამ შემთხვევაშიაც მისი ნების ყურმოჭრილ ამსრულებლათ გამოდიან.

მაგრამ რა პასუხს აძლევენ ეს უზურბატორები ქართველ ხალხს, რომლის სამი წლის თავდადებული მუშაობა საქართველოს გასაერთიანებლათ ასე ხელაღებით გააქარწყლეს?

იგრძნობენ მაინც იუდას სინდისის ქენჯნას?

ჩვენ ეს გვეუბნება.

სამაგიეროთ ჩვენ არ გვეუბნება, რომ საქართველო არასოდეს არ იცნობს 16 მარტის ხელშეკრულებას.

საქართველო სუფერენულია, დამოუკიდებელია და მოსკოვის ხელშეკრულებას იგი ზიზღით უარყოფს, როგორც უმსგავსო გამიშვლებულ იმპერიალისტურ მაკიველიზმის ნაყოფს, რომელიც ამ სამარცხვინო სახელით გადავა ისტორიაში.

საქართველომ თავის თვითარსებობის აღიონზევე დაიწყო ბრძოლა ბათომის შემოერთებისა და საქართველოს გაერთიან-

ბისათვის. სამი წელი ატარა მან წამების ჯვარი, რომ გაეერთიანებია საქართველოს ერთ ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშის ქვეშ. და კომუნისტებს არ მისცემს ნებას დიდხნით სძიდვონ რევოლუციის ქარცეხლში ნაშობი თავისუფალი და გაერთიანებული საქართველოს დამოუკიდებლობა.

იგი კვლავ აღადგენს იმას, რაც მოსკოვის მოგზავნილმა უზურბატორებმა უცხო ჯარების შემწეობით დაანგრეს და რაც მოსკოვმა ფაშებთან ვაჭრობაში გასცა, როგორც „ფეშქეში“.

ვერც სამუსლიმანო საქართველო შეურიგდება ასე გაორებას, შუაზე დაწყვეტას, როგორც ვერ შეურიგდება მას მთელი ქართველი ერი. და მათი ლტოლვა გაერთიანებისაკენ ის უძლეველი ძალაა, რომელიც მოინდებს ბოლშევიკების დროებით ბატონობასაც ისე, როგორც მოინდოა არა ერთი მტერი და ორგული.

16 მარტს დაყვეს საქართველო, მაგრამ იგი აღსდგება და გამოთვლება.

გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს.

მიმართვა

სოციალისტური პარტიებისა და მუშათა ორგანიზაციებისადმი.

საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ კ. ჩხეიძემ ცალკე წერილით მიმართეს ევროპის მუშათა ორგანიზაციებსა და სოციალისტურ პარტიებს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო. მიმართვაში დაწვრილებით აღწუსებული ისტორია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამჭოთა რუსეთს შორის დამოკიდებულებისა 7 მაისის ხელშეკრულობის შემდეგ, იქ ფაქტებით და დო-



კუმენტების აღნუსხვით დამტკიცებულია, თუ როგორი უღირსი საშვალებით და რანაირი ცბიერებით იბრძოდა მოსკოვი პატარა საქართველოს დასამზობათ. მისი მიზანი იყო ხელშეკრულება გამოეყენებია საქართველოში აჯანყებისა და შინაური გადატრიალების მოსაწყობათ. მაგრამ როცა ეს არ გაუვიდათ და აშკარათ დაინახეს ქართველი მუშისა და გლეხის თავდადება რესპუბლიკის დასაცავათ, გადაწყვიტეს წითელ-არმიელთა საშვალებით საქართველოს დაპყრობა.

უბეშმა ძალამ გაიმარჯვა!..

„მარა—სწერია მიმართვაში—ძალმომრეობა და ხიზტი ვერ გასტეხს სულიერათ თავისუფლების მოყვარულ ხალხს. საქართველო, რომელმაც ამდენი ენერგია გამოიჩინა ცარიზმთან ბრძოლაში, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებს თავის ახლანდელ დამმონაებელთა წინააღმდეგ, რომელნიც ნიკოლოზ მე-II-ს დამქაშებზე უფრო დაუნდობელნი და ცბიერნი არიან. მრავალ საუკუნთან ისტორიის მქონე საქართველო შესძლებს კვლავ დაიბრუნოს თავისი დამოუკიდებლობა და განაგრძოს თეი-

სი ისტორიული მისიის სამსახური, რომელიც შეაჩერა ბოლშევიზმის შემოჭრამ.

„თქვენო—მიმართვენ ავტორები სოციალისტებს—ყოველთვის მკაცრათ გმობდით დაპყრობითი ომებს. განა ნაკლები გაციხვის ღირსნი არიან საქართველოსთან ომის ამტეხნი იმიტომ, რომ თავის იმპერიალიზმს ისინი ხელს აფარებენ კომუნისმის სახელით?

ჩვენ ველით თქვენგან, რომ დაგმობთ ჩვენი ქვეყნის შემავიწროებელთ და ღირსეულათ დააფასებთ იმათ პირმოთხრობას, ვინც ხიზტებით სარგებლობს სოციალისტური იდეების „გასაქრობათ“ და ვინც იმავე ხიზტებით საკუთარ იდეებს „ავრცელებს“.

ალიმაღლეთ, ამხანაგებო, ხმა და მოსთხოვეთ მოსკოვის მთავრობას; რომ

ა) მათ გაიყვანონ საქართველოდან თავისი ჯარები.

ბ) მისცენ საქართველოს ხალხს საშვალება თავისი ბედი თითონვე განაგოს და თავისუფლათ მოაწყოს თავისი ცხოვრება და სახელმწიფო!

ხელს აწერენ: ნ. ჟორდანიია, კ. ჩხეიძე, ვაჟ. გიგეშვილი და ნ. რამიშვილი.

სოციალისტები და საქართველო.

„პრის გველეშა“.

(წერ. ბრანტინისა).

ის, რაც ხდება დღეს საქართველოში, უნდა აღვლევებდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს.

პირველი ცნობები, რომელნიც სხვათა შორის იტყობინებოდნ თფილისის აღებას რუსეთის ბოლშევიკების მიერ სიმაღლეს მოკლებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ უმტყუნა თუ არა მას ბედმა და ქართველი ხალხის მოგერებითი ძალა გასტეხა მართლამეტერმა თუ არა; ჩვენ ჯერ ამის ცნო-

ბები არ მოგვეპოვება, მაგრამ ცხადია ის, რომ პატარა, მშვიდი ქვეყანა, სადაც სამი წელიწადია არსებობს სოციალისტური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს ერის დიდი უმრავლესობა, და რომელიც იცავს მშვიდობიანობას და თავისუფლებას, განხდა საგანი მხეცური შემოტევისა მოსკოველ ვაჟბატონების და მათი ამყოლ-დამყოლების მხრივ.

ტელეგრამა, რომელიც გაგზავნილი იყო საქართველოს სოციალისტურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ, მათი წარმომადგენელის მიმართ ბერლინში; იტყობინება: „მოსკოვის



მთავრობამ დაარღვია ზავის პირობა საქართველოსთან. ომის გამოუცხადებლათ საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესია ჩვენს ქვეყანას. ძველი პოლიტიკა მოსკოველ მეფეებისა გრძელდება კომუნისტური დროის ქვეშ და სცილობს დიმიონავოს წვრილი მეზობელი ერები. საქართველოს მუშებში და გლეხებში პროტესტს აცხადებენ ამ თავდასხმის წინააღმდეგ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლების და სოციალისტური იდეალების შესანარჩუნებლათ. ჩვენ მოველით მორალურ დახმარებას და ვიმედოვნებთ, რომ მთელი სოციალისტური ქვეყანა ჩვენს მხარეზე იქნება“.

ერთ ნოტაში, რომელიც მიღებულია საქართველოს წყაროებიდან და რომელიც სხვათა შორის გამოქვეყნებულია, ბერლინელ „ფრაიპატიში“, კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული მოსკოვის მთავრობის ცნობა, ვითომ ეს იყოს არა ომი რუსეთის, არამედ უთანხმოება ქართველ-სომეხთა შორის და რევოლუციური მოძრაობა თვით საქართველოში.

„ყოველ სიტყვაში საზოგადოარი სიცრუეა. სომეხთა და აზერბეიჯანს არ შეუძლია თავდასხმის წარმოება იმ შემთხვევაშიც კი, რომ ეს მათი სურვილიც იყოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ შეადგენს მათ დანიშნულებას. თავდასხმის ბრძანება სწორეთ მოსკოვიდან იყო მიღებული. რუსეთის საბჭოთა ჯარების მიერ არის დაპყრობილი სომეხთი და აზერბეიჯანი, და ეს ჯარები იქნა გამოყენებული იმ მიზნით, რომ ყელი გამოსკრან საქართველოს პატარა მშვიდობიან ერს. მოსკოვის მთავრობას არ ყოფნის გაბედულობა, რომ პირდაპირ მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ომის, რადგან საქართველოს მეთაურობენ სოციალისტები, რომელთა სახელი დიდი ხნიდან ცნობილია და პატივცემული ყოველ რუსის მუშის მიერ, რომელმაც კი კითხვა იცის“.

კარლ კაუტსკი, რომელიც ცნობს საქართველოდან, აქვეყნებს ვენის „არაბაიტერ ცაიტუნგ“-ში მოწოდებას ყველა ქვეყნის მუშათა მიმართ საქართველოს სასარგებლოდ. ინტერნაციონალურ ბიურომ, კამ. ჰუისმანსის საშუალებით მოუწოდა ყველა თანამაზრევეს მხარი დაუჭიროს საქართველოს და ენერგიული პროტესტი გამოაცხადონ ამ ყოველად დაუშვებელ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა რუსეთი. „იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს, საქართველოში მდგომარეობის შესახებ—სწერს ის—ჩვენ შეგვიძლია კატეგორიულად ვაღიაროთ, რომ ეს შემოსევა არის უსაზიზღრესი უარყოფა კეთილ-სინდისიერებისა ინტერნაციონალურ ურთიერთობაში და უტყფარი ძალმომრეობა მშვიდობიანობის მიმართ. მთელი ინტერნაციონალი მოვალეა მორალურათ მხარი დაუჭიროს ჩვენ მამაც ამხანაგებს ამ დიდ განსაცდელის დროს“.

ამ საშიშარ წგრევის პროცესში, რომლისგან ჯერ კიდევ კაცობრიობას თავი ვერ დაუღწევია მიუხედავთ სამშვიდობო მოლაპარაკებისა, ვინაიდან მიღებულ არ იქნა ინტერნაციონალური მოთხოვნილებანი მუშათა კლასისა საპართლიანი და ხანგრძლივი ზავის სასარგებლოდ, მოთხოვნილება საქართველოსი, რომ იგი მიღებული ყოფილიყო ერთა ლიგაში არ იქნა დეკლარირებული და დროებით გადაიდო. მიუხედავთ ამისა ფენევის კონგრესის მონაწილეთა მხურვალე სიმბატია ამ პატარა ერის მხარეზე იყო. და ახლა დიდმა დრო, როდესაც უნდა გამოჩნდეს ცარიელი სიტყვები იყო ეს თანაგრძობა, თუ შეერთებული ძალები მუშათა კლასის და ყველა პროგრესული ელემენტების არ დაიშურავენ თავს, რომ ხელი-აღლებინონ რუსეთის მოძალადე რეჟიმს იმ ძალმომრეობაზე, რომელიც მან მთელი კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა უხეში ძალით საქართველოს დაპყრობით.



მაკდონალდი საქართველოს შესახებ.

ინგლისის ცნობილი სოციალისტი, მაკდონალდი სწერს მუშათა გაზეთში („ფოს-ფორდ“-ში) შემდეგს:

პატარა სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიული თავისუფლებით სარგებლობს და სოციალიზმის ცხოვრებაში განხორციელებას ცდილობს, მხოლოდ შურს იწვევდა კომუნისტების გულში.

ბოლშევიკური თავდასხმა ამ სახელმწიფოზე და რევოლუციური აჯანყება იმ ქვეყანაში, რომელმაც სტუმართ-მოყვარება გამოიჩინა ბოლშევიკების მიმართ, წარმოადგენს ყველაზე უფრო ცინიკურ ბოროტებას, რომელიც კი ჩაუდენია ჩვენ დროში იმპერიალისტურ მთავრობას.

საქართველო დიდი ხნიდან ყველა ამოჩემებული მოსკოვის და ბაქოს ბოლშევიკებს გასანადგურებლად, მთელი თვეობით თხზავდენ საშინელ ყალბ ისტორიებს საქართველოს შესახებ, თითქო მას სურდა ბათომის გადაცემა ინგლისისათვის, და თითქო მე ინგლისის მთავრობის აგენტად ვიყავი თბილისში. ყოველივე ამას სჩადიან იმისათვის, რომ დაუარონ აგრესიული პოლიტიკა ბოლშევიკებისა. და როდესაც ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს სომხეთის სატახტო ქალაქი, სულ მცირედი გაუგებრობა საზღვრების შესახებ სომხეთსა და საქართველოს შორის საკმარისი გახდა ომის დასაწყებად საქართველოსთან, და როცა ამან ვერ გასჭრა, ბ-ნ სტარკი, მოსკოვის ელჩი თბილისში, აწყობს საჯანყებას და დარბევას თბილისში. *)

ყველა ქვეყნის კომუნისტებს შეუძლიათ

*) მაკდონალდი ჩანს შეკლამაში შეუყვანია ბოლშევიკების ყალბ ინფორმაციას. ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის, რომ თბილისი, ისე როგორც მთელი საქართველო დიპკრებს მოსულმა ჯარებმა, მაგრამ შეგნიდან ის არ აფეთქებულა.

რედ.

გაიხარონ. პატარა სახელმწიფო, რომელიც სოციალისტური მთავრობით დაემზო, სამხედრო ტირანია გამეფდა პოლიტიკური თავისუფლების ნაცვლათ. გავიხაროთ ჩვენი სოციალისტური გულით, რომ მშვიდობიანობის საქმე ასე წინ მიდის. მაგრამ შეეჩრდეთ ერთი წუთით! რამდენათაც მე ვიცნობ ქართველებს, მათ კიდევ არ უთქვამთ თავის უკანასკნელი სიტყვა.

პავლე აქსელროდის პროტესტი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილმა ლიდერმა, პავლე აქსელროდმა, ვენის კონფერენციას გაუგზავნა ტელეგრამა, რომელშიაც ის აღნიშნავდა, რომ ვენის კონფერენცია ვალდებულია პროტესტი გამოაცხადოს ბოლშევიკების შემოსევის წინააღმდეგ საქართველოში და პროტესტისაკენ მოუწოდებდა საერთაშორისო პროლეტარიატს.

გერმანიის მემარცხენე ს.-დემოკრატები.

„ფრეიპატიკ“ გერ. მემარცხენე სოც.-დემოკ. გაზეთი სწერს:

„მოსკოვის საბჭოთა მთავრობის ცნობა, თითქო საქმე ეხებოდეს არა რუსის წითელი ჯარის თავდასხმას საქართველოზე, არამედ მხოლოდ სომხებისა და ქართველების შორის შეტაკებას და რევოლუციონურ მოძრაობას თვით საქართველოში, — ეს ცნობა ზინოვიევის სიმართლეს ვავს: მოსკოვის მთავრობის ეს მტკიცება სრულსიყალბეს წარმოადგენს.

სომხეთსა და აზერბეიჯანს სრულებით არ შეეძლოთ თავის დასხმოდენ საქართველოს, თუ გინდ ეს მათ ძალიანაც სდომებოდათ.

ბრძანება თავდასხმის შესახებ მოსკოვიდან მოვიდა; პატარა მშვიდობიანი ქართველი ხალხის მოსაკლავათ გამოყენებული იქნენ რუსის საბჭოთა ჯარები, რომელთაც წინეთ ოპუბაცია მოახდინეს აზერბეიჯანისა და სომხეთისა.



ამ შემთხვევაში მოსკოვის საბჭოთა მთავრობა იძულებულია საღიზმის სიყვარულთან ერთად ცხადდეს თავისი მშინაობა.

ვინაიდან საქართველოს მართავს სოციალისტური მთავრობა, რომელიც საესებით ემყარება საქართველოს მუშათა კლასს და გლეხობას (რომელნიც მცხოვრებთა 90—95% შეიცავენ); ამ მთავრობას მხარს უჭერენ ის სოციალისტები, რომლებსაც კარგათ იცნობს თითოეული წერა-კითხვის მკოდნე რუსი მუშა, როგორც პატიოსან და თავდადებულ მებრძოლ სოციალისტებს, ამიტომ მოსკოვი ვერ ბედავს ახლა სთქვას, რომ მისი მიზნებით იღვრება სისხლი ქართველი მუშებისა.

მთელი სიცრუე, სიყალბე, მუხანათობა და დაცინვა ადამიანის წმინდა გრძობებისა, რომელიც ახასიათებდა მსოფლიო ომს, მკრთალი სურათია ზინოვიევის მთავრობის სიმდაბლესა და დაცემასთან, რაც აშკარათ გამოჩნდა საბჭოთა რუსეთის ამ ომში პატარა საქართველოს წინააღმდეგ.

რეზოლიუცია ინგლისის ტრედ-უნიონების (პროფ. კავშირები) და მუშათა პარტიის შეერთებულ საერთაშორისო კომიტეტის.

ინგლისის ტრედ-უნიონების და მუშათა პარტიის კონგრესის შეერთებული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაზე სომხეთის, აზერბეიჯანის და რუსეთის ბოლშევიკურ ჯარების თავდასხმის გამო, რომელსაც მხარს უჭერს მოსკოვის მთავრობა.

საქართველოსათვის ამ მძიმე გარემოებებში კომიტეტი გულწრფელ სურვილს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ სოციალისტურმა საქართველომ შეინარჩუნოს თავის დამოუკიდებლობა და თავის დემოკრატიული დაწესებულებანი.

ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. პარტიის პროტესტი.

„1914 წელს მთელი კულტურული კაცობრიობის სინიღისი აღშფოთებული იყო იმ დანაშაულობით, რომელიც გერმანიის იმპერიალისტურმა დიპლომატიამ და ჯარმა ჩაიდინა ბელგიის მიმართ. უძლიერესმა სამხედრო სახელმწიფომ უყოყმანოთ გასრისა პატარა ხალხი და ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო ხელშეკრულობანი. ისტორიამ სამართლიანი სასჯელი მიუზღო ამ დანაშაულობისა და სისაძაგლის ჩამდენთ.

7 მძიმე წლის გავლის შემდეგ ევროპის მეორე კუთხეში ადგილი აქვს მსგავს ბოროტ-მოქმედებას, რომელიც თავისი არსებით კიდევ უფრო მხეტური და ცინიკურია.

საბჭოთა რუსეთი შეიჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელთანაც კოტა ხნის წინეთ დასალო საზავო ხელშეკრულობა, — იმ რესპუბლიკის, რომელმაც სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მეოხებით ასე ბრწყინვალეთ და სასურველათ მოაწყო თავის სახელმწიფო, რომელიც გმირულათ იცავდა თავის თავისუფლებას და ეწეოდა მშვიდობიანობის პოლიტიკას.

ამ რესპუბლიკაში მოსკოვის მოძალადე მთავრობამ ყოვლად უმიზეზოდ დაანთო ომის ცეცხლი. ეს ბოროტება მოსკოვის კომუნისტური ცარიზმისა უფრო აღმაშფოთებელია საერთაშორისო პროლეტარიატის თვალსაზრისით, ვინემ ის ბოროტება, რომელიც გერმანიის კაიზერმა ჩაიდინა 1914 წ. იმპერიალისტური ომი გერმანიისა ბელგიასთან გამოწვეული იყო მსოფლიო ბატონობისადმი მდებალი მისწრაფებებით და სახელს უტეხდა მხოლოდ კაპიტალისტურ რეჟიმს. მოსკოვის თავდასხმა საქართველოზე, რომლისთვისაც მას არც კი გამოუცხა-

დებია ომი, სახელს უტეხს რევოლუციის და საერთაშორასო სოციალიზმის იდეას. ამ სამარცხინო მაგალითიდან, ჩვენ, პროლეტარები და წევრები პატარა სლავიანური ერისა, ვრწმუნდებით, რა საზიზღარ ხალხის ხელშია ჩავარდნილი მშრომელი მასსა ჩვენი მოძმე რუსის ერისა. ამ მაგალითიდან ჩვენ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ მოსკოვის ბოლშევიკებისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს: არც გუმანიტრული (ადამიანური), არც სოციალური პრინციპები, არც რევოლუციური იდეალები.

ჩვენ საბოლოოდ ვიცით, რომ მოსკოვი დღეს უფრო საშიში მტერია სოციალიზმის, ვინემ მონარქიული რეაქცია, რომელსაც შეუძლია დროებით შეაჩეროს სოციალიზმის მსვლელობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გარყვნას და გააუკუღმართოს იგი მორალურად.

გულის ფანჯრით ვადევნებთ ჩვენ თვალს ჩვენი ამხანაგების, ქართველი მუშების და გლეხების ბრძოლას. ეს თავდაცვა ჩვენთვის მით უფრო სიმპატიურია, რომ მას აწარმოებს პატარა ერი. ამ ომმა დაგვარწმუნა, რომ ძლიერებს მუქად არ ჩაუვლის მეორე ერის მიმართ მოძალადეობის ჩადენა. ჩვენი მხურვალე სურვილია, რომ ასეთივე ბოლო ექნეს ბოლშევიკების თავდასხმას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. სოციალიზმისათვის განსაკუთრებით არ უნდა ქონდეს ადგილი სუსტის დამონებას ძლიერისაგან.

ამ მძიმე წუთებში ჩვენ ვუთვლით ქართველ ამხანაგებს გულითად და წრფელ მშურ სურვილს სრული გამარჯვებისას მათ მართალ საქმეში.

პრაგა 25 თებერვალი 1921 წელი.

ცენტრალური აღმას. კომ. ჩეხო-სლოვაკიის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

რეზოლიუცია რ. ს.-დ. მ. შ. საზღვარგარეთელი დელეგაციის.

მივიღეთ რა მხედველობაში:

1) რომ საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა;

2) რომ ეს სოც.-დემოკრატიული მთავრობის მყოფი საქართველო არავითარ აგრესიულ მიზნებს არ ისახავს საბჭოთა რუსეთის მიმართ, და რომ ეს პატარა ქვეყანა არ შეიძლება რაიმე მხრივ საშიში იყოს ვეებერთელა საბჭოთა რესპუბლიკისათვის;

3) რომ სომხეთსა და აზერბეიჯანში რუსის სამხედრო ძალებით გადატრიალების მოხდენის შემდეგ ამ ქვეყნებში ძალა-უფლება ფაქტიურად საბჭოთა რუსეთის ხელში იყო, რომ იგი წინააღმდეგ საქართველოსთან დადებულ საზავო ხელშეკრულებისა, მხარს უტყერდა შეთქმულებებს, რომელთა მიზანი ის იყო, რომ საქართველოსაც სომხეთ-ადერბეიჯანის ბედი სწევოდა;

4) რომ ამ პოლიტიკის გატარების დროს საბჭოთა რუსეთი სარგებლობდა მუსულმან და სომეხ ნაციონალისტებით, რომელნიც შუღლს სთესავენ ცალკე ტომებსა და ერებს შორის იმ ადგილებში, სადაც ისინი შერეულად ცხოვრობენ;

5) რომ ამ პოლიტიკით გამოწვეული შეიარაღებული შეტაკება გამოყენებულ იქნა საბჭოთა ჯარებისაგან იმისთვის, რომ ომის გამოუცხადებლად შექრილიყვნენ საქართველოში;

6) რომ ასეთი თავდასხმა საქართველოს დამოუკიდებლობაზე დიდ სიხარულს იწვევს რუს რეაქციონერებში, ერთი იმიტომ, რომ სოც.-დემ. საქართველო მიუხედავად ანტანტის ძალდატანებისა უარს ამბობდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კონტრ-რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობაზე, და მეორეთ იმიტომ, რომ საქართველოზე თავდასხმა საბჭოთა მთავრობის მხრივ გა-

დაისერის რუსეთისგან გამოყოფილ სახელმწიფოებს საერთაშორისო და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში;

7) რომ იარაღით გადაქრა სადაო კითხვების, რომელიც აღიძვრის ორ სოციალისტურ მთავრობიან სახელმწიფოთა შორის, უდიდესათ შემარცხვენელია სოციალიზმის იდეის, იგი დარღვევაა ინტერნაციონალურ კლასთა სოლიდარობის ძირითადი პრინციპების, ვინაიდან იგი აიძულებს რუსეთის სოციალ. მუშებს ტყვია დაუშინონ ქართველ მოქმედებს, და მით უდიდესი ზიანი მიაყენონ რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს;

საზღვარ-გარეთელი დელეგაცია რ. ს.-დ. მ. პ. აღმუთებელია საბჭოთა ჯარის თავდასხმით საქართველოს სესპუბლიკაზე, და მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარულ ორგანიზაციებს ზეგავლენა მოახდინონ საბჭოთა რუსეთზე იმ მიზნით, რომ აიძულონ ბალშევიკური მთავრობა პატივისცემით მოეპყრას ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, აასრულოს დადებული ხელშეკრულება, და ხელი აიღოს საქართველოს მუშათა და გლეხთა მშვიდობიან რესპუბლიკის დაპყრობაზე.

შვეციის ს.-დ. მ. პარტ. რეზოლიუცია.

ბოლშევიკურმა რუსეთმა საზოგადოებრივი თავდასხმა მოაწყო თავის მშვიდობიან მეზობელ—საქართველოზე, თუმცა ამისათვის არავითარი საბაზი არ მოეპოვებოდა. ეს თავდასხმა ააშკარაებს რუსეთის ცარიზმის ღირსეულ მემკვიდრეების, — რუსეთის ბოლშევიკების იმპერიალისტურ მისწრაფებებს, იმ ბოლშევიკების, რომელნიც დღეს დაპატრონებიან მთელ რუსეთს და სოციალიზმის მოციქულებათ მოაქვთ თავი. ამ თავდასხმის სიბოროტეს განსაკუთრებით ნათელ ყოფს ის გარემოება, რომ საქართველოს მართავენ სოციალისტები, რო-

მელთაგან ბეგრნი ცნობილი პოლკოვნიკი მსოფლიოში, როგორც საუკეთესო მებრძოლი რუსეთის ხალხის თავისუფლებისათვის. ისინი, როგორც დამცველი დემოკრატიულ პრინციპებისა, აღჭურვილნი არიან ხელისუფლებით ქართველ ხალხის დიდი უმრავლესობისაგან.

შვეციის ს.-დ. მ. პარტია აღიარებს რა, რომ ბოლშევიკებმა უკუაგდეს ყველა სოციალისტური პრინციპები და ხელახლა უხეშათ დაარღვიეს ერთა თვით-გამორკვევის უფლება, ენერგიულ პროტესტს უცხადებს საქართველოზე თავდასხმის გამო საბჭოთა მთავრობას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გასთელოს მშვიდობიან, მშრომელ საქართველოს დამოუკიდებლობა.

დანიის სოც. პარტიის რეზოლიუცია.

დანიის სოციალისტური პარტ. პროტესტს აცხადებს სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკაზე საბჭოთა მთავრობის თავდასხმის გამო. ჩვენ ვაღიარებთ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და იმ აზრს ვადგივართ, რომ საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატია ვალდებულია იბრძოდეს ამ პრინციპისათვის.

გერმანიის სოციალისტები.

გერმანიის ორივე სოციალისტური პარტიები პროტესტს აცხადებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. საქართველოს სასარგებლოთ კამპანიას მეთაურობს კ. კაუცკი. — კ. კაუცკის წერილს, შემდეგ ნომერში მოვითავსებთ.

პოლონეთი.

მთელი პოლონური პრესა ენერგიულ კომპანიას აწარმოებს საქართველოზე თავდასხმის და მისი დაპყრობის წინააღმდეგ. ამ კომპანიას სათავეში უდგას სოციალისტური პარტია დაშინსკის ხელმძღვანელობით. დაშინსკიმ ამ თავდასხმის გამო შეკითხვა შეიტანა პოლონეთის სეიმში და ცხარე



სიტყვების შემდეგ, რომელშიც დიდ თანაგრძობას უცხადებდნენ საქართველოს და გამოხატეს რუსეთის ველურ პოლიტიკას, სიმემა მიიღო დაშინების წინადადებით მკაცრი საპროტესტო რეზოლიუცია.

ბალტიის მხარის სახელმწიფოები.

ბალტიის მხარის რესპუბლიკების კონფედერაციამ, რომელიც შეიკრიბა ქ. რიგაში, თანაგრძობის დეპეშა გაუგზავნა საქართველოს სავარეო მინისტრს.

ლატიშთა ს.-დ. მ. პარტიამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, და ვაშართა მთელი რიგი მუშათა მიტინგები, რომელთაც აუარებელი ხალხი დაესწრო და რომელზედაც რუსეთის თავდასხმის პოლიტიკა დაგმობილ იქნა, როგორც იმპერიალიზმის უსაშინელესი ფორმა, წითელ სამოსელში გზავილი. რეზოლიუციებში მკაფიოთ არის გატარებული ის აზრი, რომ ასეთივე მუხანათობა მოსალოდნელია რუსეთის მხრივ დანარჩენ მცირე რესპუბლიკებისადმიც.

სამხრეთ სლავიანთა სოც. პარტია.

სამხრეთ სლავიანთა სოციალისტურმა პარტიამ ენერგიული პროტესტი გამოაქვეყნა რუსეთის ბოლშევიკების იმ საზიზღარ აგრესიულ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატა საქართველოზე ასე უხეშით თავდასხმაში. თითქმის ყველა მიმართულების პრესა სასევა წერილებით და მოწოდებებით საქართველოს სასარგებლოთ და რუსეთის წინააღმდეგ.

იტალიის სოციალისტები.

იტალიის სოციალისტურ პრესაში დაიბეჭდა ჩვენი პროტესტები და მოწოდებები, და გამოქვეყნდა „უნიონ სოციალისტ-იტალიანა“-ს რეზოლიუცია რუსეთის წინააღმდეგ.

ავსტრიის სოციალისტები.

როგორც პარტია, ისე მისი მეთაურები, განსაკუთრებით ფრიდრიხ ადლერი, ეწევიან აგიტაციას საქართველოს სასარგებლოდ.

საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ ბორდოს სექცია.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბორდოს სექციამ ბოლშევიკური ჯარების საქართველოზე თავდასხმის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი წინადადება: „სოციალისტური პარტიის ბორდოს სექცია, მწუხარებით ტყობილობს ამავს თავისუფალ და მშვიდობიანობის მოყვარე საქართველოზე სომხეთის, აზერბეიჯანის და რუსეთის ბოლშევიკური ჯარების შემოტევის შესახებ. იგი აცხადებს, რომ მიმართვა იარაღისადმი საზღვრების საკითხების გადასაწყვეტად. იმ საზღვრების, რომელნიც ჰყოფენ სახელმწიფოს, რომელთა მთავრობა სოციალისტურია—თუმცა სხვა და სხვა მიმართულების—სახელს უტყებს სოციალისტებს და არღვევს მთავარ პრინციპებს ინტერნაციონალური სოლიდარობისას.

ის უერთებს თავის პროტესტს, მოსკოვის მთავრობის ჯარების საქართველოში შემოსევის წინააღმდეგ გამოთქმულ პროტესტებს და აქვს იმედი, რომ სიძლიერე მუშათა ორგანიზაციების და საერთაშორისო სოციალისტებისა გავლენას იქონიებს ბოლშევიკურ მთავრობაზე იმ მხრივ, რომ ამ უკანასკნელმა პატივი სცეს ერთა თავისუფალ თვით-გამორკვევის პრინციპს, რომელიც მუდამ პატივცემული იყო საქართველოს რესპუბლიკის მიერ.

რედაქციისაგან: ევროპის თითქმის ყველა სოციალისტურ, პროფესიონალურ და პატოსან დემოკრატიულ პრესაში არის პთელი რიგი საპროტესტო რეზოლიუციები და წერილები მოთავსებული რუსეთის კომუნისტურ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მაგრამ ყველა წერილების მოყვანა ჰვენს ჟურნალში უადგილობის გამო ვერ აერხდება.





ბოლშევიზმის გული.

როგორია ბოლშევიზმის მდგომარეობა რუსეთში?

ეს საკითხი ალბათ ბევრს ჩვენს მკითხველს აინტერესებს.

კომუნისმის სამოსელში გახვეულ რუს იმპერიალისტების მსხვერპლი შეიქნა ჩვენი ქვეყანა, მისი დემოკრატიული წყობილება, მისი თავისუფლება!

ბოლშევიკურმა ჯარმა დაიპყრო საქართველო. და ბოლშევიზმის დაცემასა თუ განმტკიცებაზე ბევრათ არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ახლო მომავალში.

მოსკოვის აგენტები თავისი მოყიდული პრესით აყრუებენ მკითხველებს, რათა და არწმუნონ ისინი თავის სიძლიერეში.

ნამდვილათ როგორია ბოლშევიკების მდგომარეობა თვით რუსეთში?

გადამეტებულათ არ უნდა ჩაითვალოს, თუ ვიტყვი, რომ კომუნისტური რეჟიმის ერთადერთი საფუძველი დღეს ხიშტია, რომ რუსეთში არ არის არც ერთი სოციალური კლასი, რომელიც მას მხარს უჭერდეს. „სოციალისტური“ რუსეთის საიმედო დამცველები დღეს უმთავრესათ უცხო ელემენტებისაგან შედგენილი პრეტორიანელებია: ესენია ბაშკირების, ჩინელების, ყირგიზების, ლატიშების და სხვ. დაქირავებული რაზმები. მას სავსებით ჩამოშორდენ უკვე ის ელემენტები, რომელთა შემწეობით ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება და სახელმწიფოს დაეპატრონენ.

ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრის გადატრიალება მოხდა ომში დაღლილი გლეხურ არმიის და ქალაქის მუშათა ერთი ნაწილის აქტიური მონაწილეობით. კერძონის მთავრობამ თავისი ორკოფული საგა-

რეო პოლიტიკით და შინაური რევოლუციების დაგვიანებით ნიადაგი მოუშალა ბოლშევიზმის ბატონობას, რომელიც მაშინ გამოდიოდა ზავის ქადაგებით და პირდებოდა გლეხკაცობას მიწების მიცემას, ხოლო მუშებს სოციალიზმის განხორციელებას.

სამი წელიწადია ბოლშევიკები ბატონობენ და რა მიიღო რუსეთმა მათგან?

ზავის მაგიერ—განუწყვეტელი სამოქალაქო და საგარეო ომები, პურის მაგიერ—შიშხილი, საზოგადოებრივი წარმოების მოწყობის მაგიერ—ეკონომიური ცხოვრების სრული მოშლა: ფაბრიკა-ქარხნების დანგრევა, სხვილი მრეწველობის სრული განადგურება, სასოფლო მეურნეობის საშინელი დაცემა, თავისუფლების მაგიერ—ტირანია, პარლემენტარიატის დიკტატურის მაგიერ დიკტატურა რამდენიმე პირისა, რომელნიც უსაშინელესი ტერორით მართავენ ქვეყანას.

აი, შედეგი ბოლშევიკების მეფობის!

დღემღი გლეხებისა და მუშების ერთ ნაწილს კიდევ სჯეროდა, რომ ბოლშევიკები მათი ინტერესების დამცველები იყვნენ. ამ ილიუზიას აძლიერებდა კაპიტალისტური ევროპის ინტრიგები და კოლჩაკ-დენიკ-იუდენიჩების ავანტიურები. მარა აღარ არის არც კოლჩაკი, არც დენიკინი, არც ვრანგელი. მთელი რუსეთის სივრცეზე ბოლშევიკები ერთათ-ერთი მმართველები შეიქნენ. ევროპაშაც ხელი აიღო რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე. პირიქით, იგი თითქო ბოლშევიზმის არსებობას ურიგდებდა და მასთან საქმიანი ურთიერთობის დაქერას ლამოზს. მაგრამ ეს გარემოება არა თუ ამაგრებს შიგნით ბოლშევიკებს, არამედ ხალხი ახლა კიდევ უფრო რწმუნდება მათი ბატონობის მოსობას აუცილებლობაში. მწარე სინამდვილე,



უკიდურესი გაპირება არწმუნებს მას დღით დღე, რომ ბოლშევიზმი უნდა დაეცეს, თუ რუსეთის ხალხს სურს განვითარება და ადამიანური ცხოვრება.

რაც დღეს რუსეთში ხდება, ის სრულფაზით არ წაავაგს 1918—1919 წლების ამბებს, როცა ბოლშევიკებს ებრძოდნენ სხვა და სხვა მხრიდან. მაშინ მათ წინააღმდეგ დამფუძნებელი კრების ფრონტის გარდა, აქტიურათ გამოდიოდა უმთავრესათ რეაქციონური აფიკრობა და მათი ამჟოლი ძალები. ახლა ბოლშევიკების წინააღმდეგ ილაშქრებს თვით ხალხი: გლეხობა, მუშები, ქალაქის დემოკრატია.

დამტკიცებულია, რომ კონსტატის აჯანყება, მოსკოვისა და პეტროგრადის არეულობანი იყო ფართე მასის საქმე, ბოლშევიკური რეჟიმით განაწამები მუშების, მატროსების და სხვათა გამოსვლა. თვით ბოლშევიკებიც აღარ მალავენ, რომ მუშები მათ ჩამოშორდნენ, ხოლო გლეხკაცობა მათდამი მტრულათ განწყობილია.

და აი, ხალხის თვალში გაკოტრებული კომუნისტები ეძებენ გამოსავალს. ლენინი საჯაროთ აცხადებს, რომ „კომუნისმი რუსეთში—უტოპიაა“. ბოლშევიკები ცდილობენ მოურიგდნენ გლეხკაცობას. უკიდურესი „სოციალისტები და კომუნისტები“ კალთას აგლეჯენ ევროპის კაპიტალისტებს, რომ მათ გააბედნიერონ რუსეთი თავისი მობრძანებით და კაპიტალისტური ექსპლოატაციის გააღებით. მრავლათ იცემა კონცესიები, იცემა ისეთი პირობით, რომელიც მოასწავებს რუსეთის ხალხისა და მისი ავლადიდების გაყიდვას.

აჯანყებები კი ბოლშევიკების წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ძლიერდება!

ტყუილია ბოლშევიკების მიმდინარე „შეაპაჩიკებენ“ უზარმაზარ რუსეთის დანგრეულ შენობას. ეს დღეს არავის არ სჯერა. ბოლშევიკები თითონვე გრძნობენ, რომ მოაღწია მათი აღსასრულის დღემ. გადაიკითხეთ მათი გაზეთები, მათი წერილები, მათი საიდუმლო მიწერ-მოწერა და თქვენ ამაში დარწმუნდებით.

ქალაქები იხოცება სიმშლით, სიცივით, სიბინძურით. სოფელი მოკლებულია თავის განვითარების ელემენტარულ პირობებს. რაც დღე გადის სულ უფრო და უფრო ჩანადგება ეკონომიურათ რუსეთი, ბოლშევიკებს უკვე ელევათ ძველი სიმდიდრე და ნაძარცვი განქულობა.

და რაც უფრო ყვირიან თავის საქმიანობაზე, რასაც მეტს ფიქსულობენ მით უფრო და უფრო ენგრევათ ყველაფერი. ნავთის სამეფოში—ნავთი ევრ უშოვიათ მცხოვრებლებს, ტყით დაფარულ ქვეყანაში სიცივით იხოცებიან, ევროპის მასაზრდოველ რუსეთს პური და სანოვაგე აკლია.

ამაზე უფრო უმაგალითო გაკოტრება ჯერ არცერთ რეჟიმს არ განუტლია.

მან შეიძლება კიდევ იბოგინოს ცოტა ხანი. მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ბოლშევიზმს, როგორც სახელმწიფო ძალა-უფლებას, ისტორიამ უკვე გამოუტანა სასიკუდილო განაჩენი.

ჩვენი ვალია მომზადებული შევხედეთ იმ დროს, როცა განაწამები ხალხის რისხვა თავს დაატყდება კრემლის მთავრობას, რომელიც კომუნისტურს და ქვეყნის მხსნელს უწოდებს თავის თავს, მაგრამ რომლის სამი წლის მოღვაწეობამ ამდენი მსხვერპლი შეიწირა!

ჩუხსეთის პირობები.

ქარხნების დაზარება.

ახალი წელი კომუნისტური მთავრობისათვის ძლიერ ცუდად დაიწყო.

უწყაყოფილება და უნდობლობა გამოეცხადა მოსკოვის თვითმპყრობელებს სწორეთ იმ ხალხმა, ვისი საშუალებითაც სამი წლის წინათ ოქტომბერში მათ ძალა-უფლება ხელთ იგდეს. ის იმედები მუშათა და საერთოთ შრომელ მასის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, რომელსაც პეტერბურგის და მოსკოვის მუშები საპქოთა მთავრობაზე ამყარებდნენ, არამც თუ არ გამართლდა, პირიქით ძველი ცხოვრების პირობები დღეს მათთვის სანატრელი გახდა.

შიმშილი, სიცივე—ამას ყოველივეს აიტანს კაცი, მაგრამ აუტანელი და შეუთვსეხელია ის სადაველი მორალური დამონება, რომლის ცხოვრებაში გატარებას ლამობენ რუსეთის კომუნისტები.

და როგორც მოსალოდნელი იყო, მუშებმა ძველებურათ იწყეს ბრძოლა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლათ, და სულიერი თავისუფლების მოსაპოვებლათ. ეს ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ დიდი მსხვერპლი შეეწირება მას, მაგრამ საბოლოოთ მაინც გამარჯვება მუშათა მხარეზე დარჩება—ამის თავდებია უკანასკნელი სამი თვის ისტორია.

მას გავეცნოთ ამ ისტორიას თვით კომუნისტური გაზეთების საშუალებით.

თებერვლის პირველ რიცხვებში პეტროგრადის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაფართოებულმა კრებამ დაადგინა შეჩერებულ იქნეს მუშაობა პუბლიკის, სესტრორეტკის, ფრანგ-რუსულის, ლენინერის, ბარანკისკის, აივანის, სიმენს-გალსკეს, ტრეუვოლინიკის და სხვა ქარხნებში. სულ შეჩერდა 80-დე ქარხანა.

სათობი მასალა და სანოვაგე.

მიზეზი ასეთი გადაწყვეტილების—სათობი მასალის უქონლობა იყო.

1920 წელში დამზადებულა მილიარდ ნახევარი უფთი ნახშირი, საჭირო კი არის ოთხ მილიარდ ნახევარი.

პეტერბურგს არ მიუღია იმის ნახევარიც, რაც მისთვის მინიმალურ საჭიროებას შეადგენს. («პეტ. პრავდა» 18-II).

სათობი მასალის ნაკლებობა ძლიერ დაეტყო რკინის გზასაც. საბარგო მატარებელი მოსკოვიდან პეტერბურგამდე მისვლას ანდომებს ხუთ დღეს. მიზეზი—სათობი მასალის უქონლობა და უეარვისობაა (წით. გაზ. 9-II). ნიკოლაევის რკინის-გზა შესაძლებელია სულ შეჩერდეს, თუ დროზე არ მოწესრიგდა სათობი მასალის მოწოდების საქმე. ყოველ-დღიურათ საჭიროა ექვსი ათასი საყენი შეშა, აწოდებენ კი ათას ხუთასს. მოსამხატრეებს და მუშებს შეშა სულ არ მიუღიათ (წით. გაზ.).

ასეთ კრიზისს განიცდის ედუა-ქალაქი და სხვა ქალაქებში რაღა იქნება?

სანოვაგე და პეტერბურგის მეცნიერები.

არც სურსათ-სანოვაგის მომარაგებაა უკეთეს მდგომარეობაში.

საერთო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთი და განსაკუთრებით პეტერბურგი და მოსკოვი მუდამ შიმშილს განიცდიდა. მაგრამ იანვარში და თებერვალში შიმშილი უკიდურეს წვეტრულს მიაღწია. იმ რიგათ გამწვავდა საჭირო, რომ პეტროგრადის მეცნიერებმა გადაწყვიტეს მიემართათ კულტურულ კაობრიობისათვის მოწოდებით დაუყონებლოვ აღმოეჩინათ დახმარება ამ ორი ქალაქისათვის სურსათ-სანოვაგით და მით ეხსნათ მცხოვრებლები სიკვდილისაგან. *)

*) ამ გვარი მოწოდებით მეცნიერების მავიერ მაქსიმ გორკომ მიმართა ნილის პირველ რიცხვებში ვეროპსა.



მშვიდი ულუფა, რომელსაც აქამდე მუშებს აძლევდნენ, გაუნახვერეს. რადგან ხელზე სურსათის მიცემა ვერ ხერხდება, მიღებულია ზომები სასაღილოების შესაკეთებლათ, რომ საღილის მიცემა მაინც მოეწყოსო, სწერს „პეტერ. პრაედა“ 10-II.

პეტერბურგში ზინოვიევი და კალინინმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ხალხს.

„რესპუბლიკა ცუდ ხანას განიცდის. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია პეტერბურგი. მის მიდამოებში შიმშილია. ქალაქში სოფლიდან არავითარი ხანოვაგე არ შემოაქვთ. მთელ რესპუბლიკას ცუდი გაზაფხულის გადატანა მოელის, განსაკუთრებით კი პეტერბურგს. იძულებული შევიქნეთ ქარხნები შეგვეჩერებია. ყოველივე ეს იწვევს უმეყოფილებას“.

მოწოდება მოითხოვს მუშებისაგან რევოლუციონურ წესრიგის დაცვას.

სამუშაო პირობები ქარხნებში.

ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ არასოდეს მუშებს არ უხდებოდათ ისეთ ცუდ პირობებში მუშაობა, როგორც ეხლა.

აი რას სწერს „მოსკ. პრაედა“ (მწ) ერთ-ერთ ქარხანაზე: იქ მომუშავე ყველა ახალგაზდა და ჯანმრთელი ხალხია. მაგრამ ისეთ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომ ყველანი დაიღუპებიან. ფანჯრები და კარები მუდამ ღიაა, რადგან ბოლს მხოლოდ იქიდან შეუძლია გამოსვლა. საერთოთ სამუშაო ოთახში ისეთი ბოლი დგას, რომ უმეტესი ნაწილი მუშებისა თვალს იტყენს. ერთი მუშა იძულებული იყო წასულიყო, რადგან თვალები სულ გაუფუჭდა. ფანჯრებთან გარეთ აშშორებული წუმპე დგას და სხვა“.

არა უკეთეს პირობებში უხდებათ მუშაობა სხვა მუშებსაც.

საბჭოთა ბიუროკრატია.

ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მმართველი ბიუროკრატია სრულ განცხრომაშია

და თავის სიწამბდრით, მეჭრთამეობით, ინტრიგანობით არ ჩამოუვარდება თვითმპყრობელ ბიუროკრატის.

მაგრამ ამის შესახებაც უკეთესია თვითკომუნისტური მოღვაწენი ვალაპარაკოთ. საკონტროლო კომისია შემდეგს სწერს პასუხისმგებელ მომუშავეების შესახებ (პრაედა № 25).

... მდგომარეობის ბოროტათ მოხმარა შემდეგში გამოიხატება: შექმნა დამახინჯებულ ნივთიერ უთანასწორობის, კარიერიზმი, შეურაცყოფა, ღირსების შეღახვა, მთელი პარტიული წრის და კერძო ამხანაგების აბუჩათ ავღება, გამაქარწყლებელი „ნაჩალიკურ“-ი მოპყრობა მუშათ უპარტიო მასისადმი“.

„ძირიანათ შეიცვალა ურთიერთობა თვით პარტიულ ამხანაგებშიც დაახლოვებით შემდეგნაირათ: ერთი-ერთმანეთს ბოროტათ ეპყრობიან, დავიწყებულია ერთმანეთის სიყვარული და ამხანაგური დამოკიდებულება, ამათ მაგიერ ადგილი აქვს იკვიანობას, ურთიერთ ქიშპობას ამა თუ იმ ალაგის დაკავების გამო. პატივისცემა აქვს ამა თუ იმ პირს თანახმად მისი გავლენისა, გავლენა კი განისაზღვრება სასურსათო და საოჯახო უზრუნველყოფით და კომფორტით; დამოკიდებულება არა უზრუნველყოფილთან აშარტანულია, მფარველობითია და სხვა და სხვა“.

შემდეგ კიდევ ბიუროკრატიაზე: „თუ უბრალო ქალაქში უნდა გაიაროს რამოდენიმე დაწესებულება, ყველგან ერთსა და იმავე მოვლენას შეხვდები: ერთნი იღებენ ქრთამს და სჩადიან უკანონობას, მეორენი იღებენ რომ შეაჩერონ ქალაქი თავიანთ უფროსს ხელის მოსაწერათ, მესამენი — ხელის არ შეშლისთვის, მეოთხენი კი დებულობენ იმიტომ, რომ შესაძლებელია აღება, ესენი — მანტაყისტებია. ყოველგვა-

რი რევიზია ახალი ბეგრის გამოწვევაა. არ გადინალო არ შეიძლება: იწყება დაუთავებელი წვალება“ და სხვა.

ამას რასაკვირველია ხედავდნენ და ხედავენ კომუნისტურ სახელმწიფოს ქვეშევრდომი მუშები და სიცივითა და შიმშილით გაბოროტებულთ კიდევ უფრო მეტი სიძულელით ევსებათ გული მმართველ ბატონთა წინააღმდეგ.

უპარტიო მუშათა მოძრაობა.

მუშათა ასეთმა სულიერმა განწყობილებამ გამოიწვია ის, რომ იწყო ქარხნებში იღუმალი კრებები და არსებულ მდგომარეობის შესახებ ჩუმი სჯა-ბაასი. ოფიციალურ კრებებს, ბოლშევიკების მიერ დანიშნულს, მუშები ჯერ გაუბოლდნენ, მაგრამ თან და თან ოფიციალურ კრებებზედაც იწყება აშკარათ ლაპარაკი მთავრობის მოქმედების შესახებ.

თებერვლის პირველ რიცხვებში მოსკოვში მოხდა მეტალისტების კონფერენცია. სამი წლის განმავლობაში ეს პირველი კონფერენციაა, სადაც უპარტიოებს საშუალება მიეცათ ფართო მონაწილეობა მიეღოთ დელეგატების არჩევაში.

კონფერენციას დაესწრო ათასზე მეტი დელეგატი. უკანასკნელნი გულის წყრობით ხედებოდნენ იმ მოლაპარაკეთ, რომლებიც კომუნისტების შეხედულებებს იცავდნენ. მათ ლაპარაკის საშუალებასაც არ აძლევდნენ. მხოლოდ სიამოვნებით უსმენდნენ იმ ორატორებს, რომლებიც მოურიდებლათ და სასტიკათ აძაგებდნენ საბჭოთა მთავრობის აპარატების უარყოფით მხარეებს. თავმჯდომარე კომუნისტს უნდობლობით ეპყრობოდნენ. კიდევ მეტ უნდობლობას უცხადებდნენ პროფესიონალურ კავშირების ორგანოებს.

კონფერენციამ რამოდენჯერმე ხაზ-გასმით აღიარა თავის უპარტიოება. დელეგა-

ტები შემოკრებენ კომუნისტურ პარტიის და კომუნისტურ კავშირების საწინააღმდეგო ლოზუნგების გარშემო. მათ მიერ მიღებული რეზოლიუციები ამავე ხასიათის იყო. (ამოღებულია „მოსკოველ პრავდიდან“).

„წითელი გაზეთი“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ სწერს (11/11), რომ სათბობ მასალის და სანოვანის მიწოდების შეჩერება ჰქმნის ისეთ პირობებს, როდესაც ესერებს საშუალება ეძლევათ არე-დარევა შეიტანონ მუშათა მასაში. იგი ურჩევს მუშებს ძირიან-ფესვიანათ აღმოუხვრან თავიანთ შორის ეს მუშათა ინტერესების მტერნი. მაგრამ მუშები ამ რჩევას არ იმენენ. პირიქით დახურულ ქარხნების მუშები იწყებენ მიტინგებისა და კრებების მართვას, სადაც უყვე აშკარათ ლაპარაკობენ არა მარტო შიმშილზე და სიცივეზე, მოლაპარაკენი მოითხოვენ ყველა გაქვირების ძირითად მიზეზის მოსპობას — საბჭოთა მთავრობის დამხობას.

პროტესტები და დემონსტრაციები.

გერმანულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ორგანო „Freiheit“-ის „წითელი გაზეთიდან“ მოყავს 26 თებერვალს პეტერბურგელ მუშათა დემუტატების საბჭოს კრების ოქმი.

აი ისიც: „უკანასკნელ დროს, განაცხადა ლაშევიჩმა, სურსათ-სანოვანის და სათბობ მასალის ნაკლებობის ნიადაგზე მუშებს დაეტყო მღელვარება. ქარხნებში გაჩნდნენ უცნობი ავტატორები, ავრკელებდნენ მოწოდებებს, სადაც მოითხოვდნენ ვაჭრობის თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას და სხვა.

„სამშობლოს აღორძინების კავშირი“ სასტიკათ აძაგებდა საბჭოთა მთავრობას. მოძრაობა ემჩნეოდა პირველ ხანებში მხოლოდ ქარხნებსა და ფაბრიკებს. საბჭოთა



მთავრობის წინააღმდეგ აშკარათ გამოლაშქრების მებაიარაღტრეთ გამოვიდა ვასილიევის კუნძულზე მდებარე „ტრუბოჩნი“ ქარხნის მუშები. მათ ქარხანაში გამოიტანეს მწვავე რევოლვიუცია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. თანახმად პეტ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა ეს ქარხანა დაიხურა.

24 თებერვალს დილით, როდესაც „ტრუბოჩნი“ ქარხნის მუშების რეგისტრაციას ახდენდნენ, 200—300-მდე მუშა გაეშურა ლაფერმის, კაბელის და ბალტიის ქარხნებისაკენ მუშების მოსახსნელათ სამუშაოდან. ლაშვიჩი ხსნის მუშების მოძრაობას მენშევიკებისა და ესერების აგიტაციით. ის ამას მით ასაბუთებს, რომ ყველგან ერთი და იგივე რევოლვიუცია გამოიტანესა.

იმავე კრებაზე ბალტიის ფლოტის კომისარმა კუზნეცმა მოხსენება გააკეთა ბალტიის ფლოტის მატროსების სულიერ განწყობილების შესახებ. მას მდგომარეობა საშიშრად მიაჩნდა.

დილის 10 საათზე შეიკრიბა მუშათა მასსა 2500 კაცამდე. დაუყონებლივ მათ საწინააღმდეგოთ იქნა გაგზავნილი ჯარი. ბრბომ დაუშინა ჯარის-კაცებს ჯერ თოვლი, შემდეგ კი ქვები. იყო ცდა წითელრაზმელების განიარაღების. ზოგიერთ ალუგას შეტაკებაც მოხდა, დაიჭრა ერთი კურსანტი გულში.

მთელი დღის განმავლობაში ვასილიევის კუნძულზე ხდებოდა მუშების მიტინგები, მათ ჯარი ფანტავდა.

25 თებერვალს მოძრაობა მოედო მთელ ქალაქს. მუშათა ჯგუფები ვასილიევის კუნძულიდან გადავიდნენ გაყინულ ნევაზე და აღმირალტისტვოს ქარხნებში და ნავთსადგურში მოხსნეს მუშები. მთელი დღის განმავლობაში ხან ერთ ხან მეორე ქარხანას მიადგებოდა მუშათა ბრბო რამოდენიმე

ასეული მუშებისაგან შემდგარი და ხსნიდა მუშებს.

პირველ რიგში მოხსნეს მუშები სახელმწიფო სტამბასა და ქარხნებში.

შეჯგუფულ მუშებს დაუყონებლივ ფანტავდა ჯარი. მდგომარეობა ქალაქში ძლიერ გამწვავებული იყო. მოსალოდნელი იყო მასიური ორგანიზაციულად მოწყობილი გამოსვლები. ამის გარდა არა საიმედო იყო ზოგიერთი ნაწილები პეტერბურგის გარნიზონისა“.

ამხაირივე მასიური ხასიათი მიიილო მოძრაობამ მოსკოვშიაც. მოძრაობა დაიწყო ხამოენიკში და გაძლიერდა, როდესაც მოძრაობას შეუერთდნენ ბეკლდითი სიტყვის მუშები. საერთოდ უკანასკნელნი თებერვლის გამოსვლაში დიდ როლს თამაშობდნენ. ამ სახით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრა პეტერბურგისა და მოსკოვის მუშების უდიდესმა ნაწილმა. საბჭოთა მთავრობამ მათ საწინააღმდეგოთ იხმარა იგივე ზომები, რომელსაც თვითმპყრობელობა ხმარობდა—ხიშტი და ციხე.

უნდა აღენიშნოთ, რომ მოძრაობას პირველ ხანებში ჯარის უდიდესი ნაწილი როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვში არ თანხმდებოდნენ მუშების წინააღმდეგ წასვლას. ასე თუ ისე, მაგრამ ეს მუშების პირველი საერთო გამოსვლა ბოლშევიკებმა ჩააქერეს.

კრონშტადტის აჯანყება.

კრონშტადტის აჯანყება—ეგ მხოლოდ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა გამოსვლის გაგრძელებაა. იგივე ლოზუნგები, იგივე მიზანი, რაც სატახტო ქალაქების მუშებმა წამოაყენეს.

საქმე დაიწყო შემდეგიდან:

სხვა და სხვა გემებზე მატროსებმა გამოიტანეს რევოლვიუცია, სადაც მოითხოვდნენ მეტ თავისუფლებას საბჭოში არჩევნების



დროს და მთელი ძალა-უფლების ნამდვილათ საბჭოებისათვის გადაცემას.

ამ ლოზუნგების გარშემო მოძრაობა ჯერ „პეტროპავლოვსკზე“ და „სივასტოპოლზე“ დაიწყო, შემდეგ კი გადავიდა ჯარში და მუშებში. ამ მოთხოვნით დელეგატები გაგზავნეს კრონშტადტელეგრაფ პეტერბურგში. იქიდან მათ ეწვია ც. აღმ. კომ. თავმჯდომარე კალინინი და ბალტიის ფლოტის კომისარი კუზმინი.

რევოლიუციის მოედანზე დანიშნულ მიტინგზე თავი მოიყარა 15,000 კაცი. კალინინის და კუზმინის სიტყვებს შეზღვენ მტრულაბ, ყოველ მხრიდან გაისმოდა ძახილი „ძირს“, „კმარა“ და სხვ. მატროს პეტროვიჩის რეზოლიუცია კი მიტინგმა მიიღო ერთხმით. ამავე მიტინგზე გადაწყვიტეს მეორე დღისათვის შეეკრიბათ პროლეტარულ და სამხედრო ორგანიზაციების დელეგატთა კრება დეპუტატთა საბჭოში არჩევნების წესის შესამუშავებლათ. კალინინი კი მიტინგის შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს.

მეორე დღეს მოხდა დელეგატთა კრება, რომელსაც დაესწრნ მხოლოდ და მხოლოდ მუშები, მატროსები და ჯარისკაცნი. არც ერთი გენერალი, პოლკოვნიკი ან ოფიცერი იქ არ ყოფილა.

კრებაზე ბრძანდებოდნ კომუნისტებიც, მაგრამ ისინი უმცირესობას შეადგენდნ. პირველი სიტყვა წარმოთქვა კუზმინმა, შემდეგ ილაპარაკა კომუნისტმა ვასილიევმა. ამ ორი ორატორის შესახებ კრებამ დაადგინა დაპატიმრებულ იქნან ისინი და კრებიდან გაძევებული.

დელეგატთა კრებამ მიიღო წინა დღით მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია.

ძირითადი დებულებები ამ რეზოლიუციისა შემდეგია:

- 1) არჩევნები საბჭოში ხდება თავისუფლად და ფარული კენჭის ყრით.
- 2) არჩევნები საბჭოში უნდა მოხდეს არა უგვიანეს 10 მარტისა.

3) ბეჭდითი თავისუფლება საბჭოებისათვის და ანარქისტებისათვის.

4) კრების და პროფესიონალური კავშირების თავისუფლება.

5) კომუნისტური რაზმების დაშლა.

6) პოლიტიკურ განყოფილების მოსპობა.

7) უნდა მიეცეს გლეხებს უფლება ისარგებლონ თავის შრომის ნაყოფით.

8) პოლიტიკური ამნისტია.

კრებას უნდოდა სხვა საკითხების გარჩევა, მაგრამ ცნობა მოვიდა, კომუნისტების ჯარი აპირებს კრების დაპერასო.

თავდაცვისათვის საჭირო იყო ზომების მიღება და კრება დაუყარებლივ დაიშალა, არჩია რა რევოლიუციონერი კომიტეტი, რომელშიდაც შედიოდნ მატროსები: პეტროვიჩი, იაკოვენი და არქიპოვი. და სხვ.

ამის შემდეგ მთელი ძალა-უფლება გადავიდა ამ კომიტეტის ხელში. ადგილობრივი კომუნისტები კი გაიქცნ.

რისთვის იბრძოდნ კრონშტადტელები? ჩვენი რევოლიუცია—შრომის რევოლიუციაა. წითელი კრონშტადტი—მოსისხლე მტერია როგორც მემარჯვენეთა ისე მემარცხენეთა შავი კონტრ-რევოლიუციისა.

უნდა მოხდეს არჩევნები საბჭოებში, რომლებიც უნდა მუშაობდნ თავისუფლათ, პარტიის მხრივ ძალადაუტანებლათ, უნდა მოისპოს „კახიონი“ პროფესიონალური კავშირები და მის ალავას შეიქნეს თავისუფალი კავშირები როგორც მუშების, ისე გლეხების და ინტელიგენციისა.

„შრომის სახელმწიფოს დიდებული დერბი ნამგალი და ჩაქუჩი კომუნისტურმა მთავრობამ შეცვალა შტიკითა და რკინის ურდოებით“.

„ყველაზე მეტათ საძაგელი და საზიზღარი არის კომუნისტების მიერ გაძევებული მორალური მოწაბა. ისინი ხელს აფათურებენ მუშის სულიერ ცხოვრებაში და სურთ მუშამ იაზროვნოს ისე, როგორც მათ სურთ“.

საქართველოს
მ რ ო მ ნ ე შ ლ ი
ბ ი ზ ლ ი მ თ ე ა ბ



„ჩვენ ვიბრძვით მშრომელი მასის ინტერესებისათვის, ჩვენ სისხლს ვღვრით, რათა მშრომელ ხალხს მოუპოვოთ ნამდვილი ძალა-უფლება“.

აი რას სწერენ კრონშტადტელები თავის „უწყებებში“ და რა ამცნეს მათ მთელი ქვეყნის მუშა ხალხს თავის მიმართუაში. ის ხმები, თითქოს კრონშტადტის აჯანყება მეფის გენერლების საქმე იყოს, რასაც ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები თავის რადიოში, მათთვის ჩვეული ტყუილი და სიცრუეა. და მათ ტყვიას არაფერ დაუჯერებს. საინტერესოა, რომ თავიანთი მოთხოვნები კრონშტადტელებმა ლენინს გაუგზავნა დელეგაციის ხელით, მაგრამ ლენინმა მეზღვაურების მოთხოვნებს ვასცა ის პასუხი, რაც ნიკოლოზ მეორემ უპასუხა 9 იანვარს მუშების მოთხოვნებზე—მათ დაუშინეს ტყვია და ზარბაზნები.

17 დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ კურსანტების, ბაშკირების და ჩინელების მიერ შემდგარი ჯარით ბოლშევიკებმა დაიმორჩილეს თავისუფლების მოტრფილე კრონშტადტი.

დახვრიტეს და დახოცეს მებრძოლთა პირველ რიგში მდგომი რევოლიუციონერები, რომელნიც კი ხელში ჩაიგდეს, მაშინ როდესაც კრონშტადტელებს არც ერთი კომუნისტთაგანი, მათ მიერ კრონშტადტში შეპყრობილი, არ დაუსჯია.

ოფიციალურად კომუნისტები კრონშტადტის აჯანყებას უბრალო და უშინშენილო გამოსვლათ აცხადებენ. დანამდვილებით კი მათ იცოდნენ, რომ კრონშტადტში მათი ბატონობის საფლავი ითხრებოდა და შიშით გამბოროტებულებმა არ იცოდნენ რა ექნათ.

კომუნისტთა მეთაურების მაშინდელი სულიერი განწყობილების დასახასიათებლათ ჩვენ მოგვყავს ორი დოკუმენტი—ლიტვინოვისა და ბალოვის წერილები, რომლებიც პრაგის გაზეთ „Narodny Listy“-ს ხელთ უგდია და კიდევ გამოუქვეყნებია.

ბალოვის წერილი შიფრით ყოფილა დაწერილი.

1. ლიტვინოვის წერილი კომპანა.

რიგა 4 მარტი 1921 წ.

ძვირფასო აშხანაგო. მე რადიოთი შეგატყობინე უკანასკნელი ამბები. გიგზავნით საგარეო საქმეთა კომისარიატის ინსტრუქციებს განსაკუთრებული კაცის ხელით, რადგან მოსპობილი მაქვს საშუალება თქვენთან სატელეგრაფო კავშირისა. მდგომარეობა რთული და ცუდია. ნამდვილი ცნობები აჯანყების და მისი განვითარებისა, არა მაქვს. მოსკოვი რადიოთი არაფერ სერიოზულს არ იტყობინება, პირდაპირი კავშირი კი მათთან არა მაქვს. გუსნიკი დაბრუნდა პოლოცკიდან, მაგრამ ის ვერ მატყობინებს ვერაფერს ვარკვეულს, რადგან ჯარი მოდის ფრონტიდან და კავშირი გაწყვეტილია.

როგორც თვითონვე დარწმუნდებით, საგარეო საქმეთა კომისარიატის ინსტრუქციები ამგვარ პირობებში ვერ განხორციელდება, მიიღეთ ის მხოლოდ სახელმძღვანელოთ რამოდენათაც შესაძლებელი იქნება.

ჟველაფერი ცუდისათვის უნდა ვიყოთ მზათ. ამისდა მიხედვით, რაც არ უნდა მოხდეს რუსეთში, ჩვენნი მუშაობა არ უნდა შეფერხდეს. მე მივემგზავრები რეველში, გონეცკიმ მიიღო სახელმძღვანელო ცნობები თქვენთან კავშირის დაკვირვის შესახებ. ის მიიღებს ზომებს დაუყონებლივ მოგაწოდოს ცნობები.

გაფრთხილებთ, რომ შესაძლებელია სრული შეწყვეტა კავშირის.

მე გეთანხმებით თქვენ, მუშაობას ნუ შეაჩერებთ, ოდნავ შეამცირეთ და იცადეთ. გერმანიის პოზიციების ჩვენ ხელში დატყრა დიდათ საჭიროა. მე ვითვალისწინებ დაბრკოლებებს, რომელთანაც ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა. ჯერ-ჯერობით მე ეპაყოფილი ვარ, რომ თქვენ იცავთ თქვენ პოზიციებს. შემოიკრიბეთ მთელი ძალები, რადგან შექმნილ პირობებში ეს ყველაზე საჭიროთ მიმანჩია.

კომუნისტური საღამით ლიტვინოვი.



2. ბალოვის წერილი მეგობარს.

ძვირფასო ამხანაგო. ეს-ეს არის გავიგე აღფრედიდან (კრესლინგი, ლიტვინოვის მდივანი), რომ ის მიდის ბერლინში. ამისათვის ვიქტორი მოგწეროთ რამოდენიმე სტრიქონი. წარმოადგენილი მაქვს, როგორ გვეცხავთ ჩვენ დუმილისათვის, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ თვით არაფერი ვიცით.

საქმე იმაშია, რომ გლახების აჯანყებები, მართალია არა ორგანიზაციულად მოწყობილი, იღებენ ფართო ხასიათს და მათი ჩაქრობა ყოველად შეუძლებელია. ეს კი ყოველად შეუძლებლათ ხდის მუდმივი კავშირის დაკავებას თქვენთან.

თეთრი გვარდიელების აჯანყება კრონშტადტში, რომელიც მოწყობილი იყო ფრანგებისა და ინგლისელების ფულით, ადვილი ჩასაქრობი იყო, რომ მდგომარეობა არ გართულებულიყო შეუზღებელი გლახების აჯანყებებით.

აქ გამეფებულია დეზორგანიზაცია და პანიკა იმ კატასტროფული ცნობების გამო, რომელსაც ყოველ წუთს გადმოგვცემენ ახალ-ახალ აჯანყებების შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება გებადება კაცს, თითქოს ყოველივე დაინგრა, ეს კი შეუძლებლათ ქმნის წესიერ მუშაობას.

დოლომატებმა არაფერი იციან, მაგრამ სჩანს გრძობენ, რომ მათ მუშაობას ნაცოფი არ მოაქვს, და ამიტომ სულ დაიბნენ. იოფე ისე იქცევა, თითქოს არაფერი არ მომხდარა, მაგრამ ეს არავის სჯერა და პირველ ყოვლისა თვით მას.

არიან ისეთი მოლაღატენიც, რომლებიც ცდილობენ სოციალისტებს მიემხრონ და, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ ჯურის ხალხს ეკუთვნიან სავარეო საქმე-თა კომისარიატის თანამშრომლები. ძალიან ეშინობ, რომ თქვენი კოპაპეცერთი ამ ვაჭაბრთავანი არის, და ამ რიგით მთელი ჩვენი მუშაობა გერმანიაში სულ უნაყოფოთ ჩაიარს.

ძლიერ მიმივა ამის თქმა, მაგრამ უნდა ველოდეთ საპასუხისმგებლო ამხანაგების

ლაღატს და ამისათვის მზათ უნდა ვეყოფიკოპპის ღღატი გააქარწყლებდა ჩვენ მუშაობას არამც თუ მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში.

იქონიეთ ეს მხედველობაში და დაიკორეთ კავშირი გილერსონთან, რომლის იმედი გქონდეთ ყოველ გარემოებაში.

მიანდევით აღექსანდრეს დაუყუნებლიე წავიდეს გილერსონთან მოსალაპარაკებლათ პროვოკატორების წინააღმდეგ საერთო გალაშქრების შესახებ.

თუ ვინცობაა მომხდარი ამგები განვითარდა, ჩვენ ყველანი მოვალთ თქვენთან და მივდლებთ ზომებს, რომ მდგომარეობა ვიხსნათ.

ლიტვინოვმა კარგათ იცის, რომ არ შეიძლება ყველას დანდობა, მაგრამ მისი ორმაგი და ორჭოფული პოლიტიკა ძლიერ დიდხანს გრძელდება და პირველი თვით ის იქნება მსხვერპლი თავის პოლიტიკისა.

შეასრულა თუ არა ლიმ. ჩემი სურვილი და ყოველივე თქვენ მზათა გაქვთ, თუ არა (აქ ლაპარაკია შეიცარიაში დაგზავნილ ფულლებზე N. L. რედაქციის შენიშვნა) ვეცდები ყოველ-დღე ვიქონიო თქვენთან კავშირი, და ყოველ ზომას მივიღებ, რომ სწორი ცნობები მოვაწოდოთ და თქვენ დაგეხმაროთ.

ჩვენდა სამწუხაროთ აქ ადგილობრივათ ძლიერ ცოტას გაკეთება შეგვიძლია. მთელ იმედებს ვამყარებთ თქვენზე და თქვენ მუშაობაზე.

თუ ამგებმა მოსკოვში არა სასურველი მიმდინარეობა მიიღო, ამხანაგების იმედი მხოლოდ თქვენ იქნებით და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მათი შევლა.

კომუნისტური საღამით ბალოვი.

ლიტვინოვისა და ბალოვის შიში არ გამართლდა. კრონშტადტის აჯანყება, მოსკოვისა და პეტროგრადის მუშების გამოლაშქრება კომუნისტებმა, როგორც ვსთავიოთ, ცუცხლითა და მახვილით ჩააქვრეს, მაგრამ მოსპეს განა ამით მათ მუშებში ყო-



ველგვარი სურვილი ახალ ბატონების საწინააღმდეგოთ ვალაშქრებისა?

რასაკვირველია არა.

უპარტიოთა კონფერენცია.

კომუნისტებმა კარგათ იციან, რომ მუშების დაწყნარება ხიშტითა და ციხით არ შეიძლება. ამიტომ შეეცადენ მეორე მხრით მოეარათ საკითხისათვის და მუშათა აზრი დაემორჩილებათ. ამ მიზნით გადაწყვიტეს მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევათ პეტერბურგში საქალაქთა შორისო მუშათა კონფერენციის მოწვევა, რომლისთვისაც წინასწარ შეიძლეა ნაკაზი. ნაკაზში ჩამოთვლილი იყო კონფერენციაზე და წინასწარ დელეგატების ასარჩევ კრებებზე გასარკვევი საკითხები. ამ საკითხთა შორის დიდი ალავი ეჭირა ისეთებს, როგორცაა ფანოების მოწყობა, შეშისა და კართო-თონის განაწილება და სხვა ამგვარი, ოღონდ მთავარ პოლიტიკურ საკითხებზე ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი.

ამით სურდათ მუშათა აზროვნების წვრილმანი საკითხებისაკენ მიმართვა, მაგრამ მოლოდინი გაუმტყუნდათ.

საქარხნო კრებებზე მუშებმა უკმაყოფილება განაცხადეს ნაკაზით და წამოაყენეს ის საკითხები, რომლებიც მათ მეტათ აინტერესებდა.

თავდაპირველათ მოითხოვეს ამნისტია ყველა პოლიტიკურ ტუსაღათათვის და ნება თავისუფლათ არჩევისათ მენშევიკების, ესერების და სხვ.

მოითხოვეს აგრეთვე ფარული კენჭის ყრით არჩევნები ყველა დაწესებულებებში და განსაკუთრებით მუშათა საბჭოში.

ზოგიერთ ქარხნებში (მაგ. სკოროხოდის) წამოაყენეს მოთხოვნა, რათა შექმნილ იქნას კომისია კონსტადტში მომხდარ აჯანყების გასარკვევათ და სხვ.

წითელი ვაზეთი (ნ—II) ამ წინასწარ კრების შესახებ სწერს, რომ ეხლა მენშევიკებმა და ესერებმა აიხადეს უპარტიოების მასკა და თხოულობენ საბჭოებისათვის ძალა-უფლებების გადაცემას, ჩასწორჩულებენ მუშებს, რომ მათ მოითხოვონ შრო-

მის თავისუფლება, მუშებზე ინტელიგენციისათვის კავშირთა თავისუფლება, საოქალაქო ომის შეწყვეტა, წითელი ჯარის დემობილიზაცია, ვაჭრობის თავისუფლება, სოცხოზების მოსპობა, მოსპობა აგრეთვე მიწის კომუნების, ყერძო საკუთრების აღიარება და სხვ.

და მართლაც ყველა აქ ჩამოთვლილი მოთხოვნები წამოყენებული იყო პეტერბურგის ქარხნების მუშების მიერ.

იგივე „წითელი ვაზეთი“ აი როგორც ახასიათებს ამ წინასწარ კრებებს (ნ—II): იმ დროს როდესაც ერთნი ყურადღებით ცდილობენ გაარკვიონ და გაითვალისწინონ მომავალი აღმშენებლობა, მეორენი მხოლოდ იღიმებიან და იძლევიან ბოროტ რეპლიკებს, როდესაც მოლაპარაკე მწვავე საკითხს ეხება. ეს ვაზეტონები ნითხითობენ და ამავე დროს მტავუთ გამოიყურებიან, „უპარტიოები“ ეჭურჩულებიან მუშებს, რომ გაამწვავეონ მდგომარეობა.

„უპარტიოთა“ ძლიერ გავრცელებულია დღეს როგორც პეტერბურგის ისე მოსკოვის მუშებ შორის.

ყველა კრებებზე მუშათა უდიდესი ნაწილი თავის თავს „უპარტიოთ“ აცხადებს და ირჩევს კიდევ უპარტიო დელეგატებს.

არჩევნების შედეგი პეტერბურგის კონფერენციაზე—სულ აირჩიეს 900 დელეგატი თითქმის ყველა „უპარტიო“.

„უპარტიო“ და პარტიულ მუშებს ზინოვიევა შემდეგი მოწოდებით მიმართა (წით. ვაზ. 30—III):

„ამხანაგებო. დღეს იკრიბება პირველათ სამი წლის შემდეგ საქალაქთა შორისო კონფერენცია. ის იკრიბება თვალსაჩინო მომენტში. ჩვენი მდგომარეობა უცლია. ჩვენ ყველაფერი გვაკლია. ყველას აკლია მოთმინება. ყველა ჩვენი დანაჯლისი გამოწვეულია მით, რომ ჩვენ მხოლოდ ეხლა გადავედით მშვიდობიან მდგომარეობაზე. კონფერენციის შიზანია მოსპოს ამ გადასვლით გამოწვეული მტკინვეულობა. ორი კვირის წინათ ჩვენ მივეცით წინადადება მუშებს ქარხნებში და ფაბრიკებში



მოეწვიათ კრებები და გაერჩიათ საქირობო-როტო კითხვები.

კონფერენციამ უნდა გაარკვიოს მდგომარეობა. ჩვენ შევიყვანთ უპარტიოებს პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, კავშირების საბჭოს პრეზიდიუმში და ყველა სხვა დაწესებულებებში. ჩვენ იმნაირათ ვარდავქმნით პეტერბურგის საბჭოს, რომ იქ შეეძლება უპარტიოებსაც მონაწილეობის მიღება. რადგან ომი გათავდა ჩვენ ეს შეგვიძლია ვქნათ. ჩვენ მოვიწვევთ უპარტიოების წარმომადგენლებს რაიონის საბჭოების თავმჯდომარეების ახანავებათ. ჩვენ გადავხალისებთ მუშაკების შემადგენლობას“.

„უკმაყოფილება დიდია. ყველას პირზე ერთი სიტყვა აკერია— „მომეტე“. ყველა მოთხოვნილებები სამართლიანია. მაგრამ რუსეთი განიავებულია. ჩვენში სათბობი მასალის უმძიმესი კრიზისია, ჩვენ ძლიერ გვიჭირს ჯარის დემობილიზაციის მოხდენა“...

პეტერბურგის ბოლშევიკური გაზეთები კონფერენციის მოლოდინში სწერენ:

დაუშვებელია, რომ ესერებსა და მენშევიკებს ნება მიეცეთ კონფერენციაზე პოლიტიკური კითხვების წამოყენების.

კონფერენცია შეიკრიბა და დაიწყო მუშაობა შით, რომ აირჩია პრეზიდიუმში მ2 კაცი, ყველა უპარტიო.

დაწვრილებითი ცნობები კონფერენციის მუშაობაზე ჯერ ხელთ არა გვაქვს. მაგრამ აი რას სწერს „წით. გაზ.“ მის მუშაობაზე:

„უსვინდისო მუშაობა მენშევიკების და ესერების დაიწყო კონფერენციის პირველ დღიდანვე.

უპარტიოები თხოულობენ უპარტიო დელეგატთა ფრაქციის შედგენას. ისინი აცხადებენ: ჯერ საქიროა გამოცხადდეს სიტყვის თავისუფლება და მოხდეს ხელმორე არჩევნები ფარული კენჭის ყრით. მაპარაკობენ ავრეთვე, რომ ბოლშევიკებმა შეადგინეს მთელი რაზმი ჯაშუშებისა, რომელნიც აქ კონფერენციაზე სწედან“.

ამნაირვე სულიერი მოსკოვის მუშებშიდაც.

„პრავდა“-ს ცნობით მოსკოვის ქარხნებში დაიწყო მუშათა კრებები, რომლებზედაც მუშები თავიანთ თავს უპარტიოებათ აცხადებენ.

4 აპრილს მოსკოვში მუშათა კავშირების საბჭოს სახლში შესდგა უპარტიო მუშათა ფართო კონფერენცია. 900 ხმით მიღებულ იქნა მენშევიკურ ესერული რეზოლიუცია.

ამის შესახებ „უწყება“-ში სწერენ: „მუშები, მუშა ქალები, გლეხები, საბჭოთა ბარიზები კავშირების სახლში გაპყვენ „სოვლაშატელებს“—ანარხისტებს, ესერებს და შავრაზმელებს. მენშევიკებმა და ესერებმა მოატყუეს დამშეული ხალხი ხმები დაიყო“.

იმავე მოსკოვში 7 აპრილს შეიკრიბა მუშა ქიმიკოსები, რომლის უდიდესი ნაწილი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგია.

„პრავდა“ ყრილობის თავმჯდომარეს უპარტიო მუშა ნოვიკოვს „ერთ-ერთ ყვითელ მეთაურთაგანს“ უწოდებს.

ამ რიგათ მუშათა მასა ლენინ-ტროცკის მთავრობის წინააღმდეგ არის განწყობილი. და ეს სულის კვეთება არა მარტო სატახტო ქალაქების მუშებს ეტყობა, იგივეა პროვინციაში. იქ კიდევ უფრო აშკარათ იხატვის ეს წინააღმდეგობა.

შემდეგ ნომერში განვიხილავთ გლეხთა სულიერ განწყობილებას. გლეხები იარაღით ხელში ებრძვიან კომუნისტურ ჯარებს. შუა რუსეთი, ბელორუსია და ციმბირის ერთი ნაწილი ცეცხლშია გახვეული.

ასეთმა მდგომარეობამ აიძულა საბჭოთა მთავრობა დადგომოდა დათმობის გზას და ბევრი ისეთი ნაბიჯი გადაედგა როგორც მუშათა, ისე გლეხების საკითხშიდაც, რომლებიც ძირიან ფესვიანათ კომუნისტს ეწინააღმდეგებიან. მაგრამ, ამაზე შემდეგ ნომერში.

საქართველოს აზვები. ქართული შემაჯობელი აგროეკ

ნ. ჟორდანის მოხსენება. ვ მისი ნ. ჟორდანის მოხსენება გააკეთა საფრ. სოც. პარტიის (რევოლუციონერების) ცეკაში. ილაპარაკა აგრეთვე ი. წერეთელმა. ნ. ჟორდანამ დააყენა საკითხი: რა მოხდა საქართველოში? რევოლიუცია, აჯანყება-გაღ-ტრიალება? თუ ომით დაპყრობა? თუ ომი იყო ვინ ომობდა? მან დოკუმენტებით ხელში გააშუქა ეს საკითხი და დაამტკიცა, რომ ეს იყო ომი საბჭოთა რუსეთის მიერ დაწყებული საქართველოზე დაპყრობის მიზნით. მოხსენება დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი. შემდეგ შეკითხვებზე, რომელიც წამოაყენეს ც. კ. წევრებმა, პასუხი გასცეს: ნ. ჟორდანამ და ი. წერეთელმა. ბოლოს ც. კ. განაცხადა, რომ იგი გამოიტანს რევოლიუციას საქართველოს დაპყრობის გამო და შეეცდება რომ ეს საკითხი ვენის სოციალისტთა (რევოლუციონერთა) კომიტეტში იქნეს სათანადოთ გაშუქებული.

— ნ. ჟორდანია ამ დღეებში გამგზავრა ლონდონის იქაურ სოციალისტებთან მოსალაპარაკებლათ. ევ. გეგაქიორი მიემგზავრება რომში, ხოლო კ. ჩხვიძე და ნ. რამიშვილი სკანდინავიასა და ბალტიის მხარეში...

საქონლის გაზიდვა. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად თბილისში ბოლშევიკების შემოსვლის პირველ დღეებშივე ჩამოსულან როსტოვიდან და ბაქოდან სხვა და სხვა შემყიდველი კომისიები, რომელთაც შეუსყიდიათ ყოველი საქონელი, რა-ც თბილისში მოიპოვებოდა და რუსეთისკენ გაუგზავნიათ. ვაუტანიათ 80-მდე ტრამვის ვაგონიც. თფილისელ და რუსეთის ბოლშევიკებს შორის ამ ნიადაგზე ერთგვარ კონფლიქტსაც ჰქონია ადგილი. საქართველოს რევკომს განკარგულება მიუცია რკინის-გზისთვის, რომ ბაქოს მიმართულებით საქონლის წალეზა რევკომის ნებართვის მიუღებლათ აკრძალულიაო. მიუხედავად ამისა კომისიები განაგრძობენ საქონლის შესყიდვას და ნაწილობრივ ეზიდებიან, გააქვთ ყველაფერი,

სახლის ავეჯიც კი. ყიდულობენ აგრეთვე სურსათსაც, სიმინდს და სხვ.

სურსათი თფილისში. თფილისის სასურსათო მდგომარეობა კრიტიკულია. სანამ ძველი მთავრობის პური კიდევ ჰქონდათ თფილისში, მუშებს 1 ნახ. გირ. პურს ურიგებდენ. შემდეგ პურის რაციონი ერთ გირვანქამდე შეამკირეს. უკანასკნელ ხანებში, მისში კი არიგებენ უკვე მხოლოდ ნახევარ გირ. პურს და იმასაც მეტის-მეტად ცუდს; გამწარებული მუშები თავს ანებებენ მუშაობას და სოფელში გარბიან. ბოლშევიკები თუმცა სწერენ ყოველ-დრე განეთებში 100,000 ფუთი პური მოდის ყუბანიდანო, მაგრამ პური არსად სჩანს. სოფლიდან სანოვავის შემოტანა კი თანდათან მცირდება. შემოქონილი უმთავრესათ „მე-ტომორეებს“. ახლა მათაც უკუნს შემოტანა, რადგან ქალაქში სამაგიეროს ვერაფერს შოულობენ, ფულის მიღება კი არავის უნდა. საქონელი თფილისში სანთლით საქებარია. ფასები მეტის-მეტათ დიდია. ცუდი ღირსების ფესხაცმელი ფასობს 200,000 მანეთი, ქათამი—20,000 მანეთი, ხორცი არ იშოვება, თუ იშოვით 3—4 ათასი მანეთი უნდა მისცეთ გირვანქაში. ქალაქები დღემდე ლაბობითი იკვებებოდენ, ახლა ისიც შემოაკლდათ.

ნავთი. საქართველოს რკინის-გზას არც ახლა აქვს საკმარისი ნავთი და მატარებლების ერთი ნაწილი ნახშირით მუშაობენ.

თათბირი უცხოელებთან. ბოლშევიკებმა თათბირი დაიწყეს ანტანტის ვაჭრებთან. თათბირზე გამოირკვა, რომ ანგარიშის გასწორება ბოლშევიკებს რაიმე საქონლით ან ოქროთი არ შეუძლიათ. ნედილი მასალა არ მოეპოვებათ. უცხოელებმა ვაჭრებმა მოითხოვეს, რომ ანგარიშის გასწორება მოხდეს უცხო ტერიტორიაზე. საერთოთ ვაჭრებს არ აქვთ იმედი, რომ ვაჭრობას მოაწესრიგებს.

დაწესებულებანი. თფილისის ცენტრალურ დაწესებულებებში უმთავრესათ უცხო ელემენტებია მოსამსახურეებათ, ქართული

ენა ცენტრალურ დაწესებულებებიდან მხოლოდ განათლების სამინისტროშია ხმარებაში.

ფ. მახარაძე პროვინციაში. საქ. რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე შემოიარა საქართველოს ზოგიერთი კუთხეები; მისი მოგზაურობა დამთავრდა ყოვლად სამარცხვინოთ. ალაგ-ალაგ უკიციანებდნენ და მოღალატის სახელით ნათლაედნენ. სადაც ეს ვერ გაბედეს რუსის ჯარის დასწრების გამო, იქ მათი მოწყობილი მიტინგი და პროცესია საშინელ სურათს წარმოადგენდა. ხალხს მგლოვიარე სახე ჰქონდა და დამუწევებულიყო. გურიის ერთ სოფელში მიტინგზე სიტყვა ითხოვა ამხანაგმა კ. ქ. მაგრამ მას ნება არ მისცეს: „შენი ხელი სისხლშია გასერილიო“. ამხანაგმა კ. უპასუხა: „ჩემი ხელი სარკესავითაა, მაგრამ ეკვი შემდის თქვენი ხელის სიწმინდეშიო“. შემდეგ სიტყვა ითხოვეს ალ. ლომთათიძემ და შ. შარაშიძემ მაგრამ არც ისინი ალაპარაკეს. ხალხმა ველარ მოითმინა და ასტება ყვირილი: თქვენ მოღალატე ხართ, თქვენ სისხლში გაქვთ გასერილი ხელი, გავეშვართი აქედანო. ფ. მახარაძე თავის დამქაშებით აკეიარა. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ აღნიშნულ პირებს დაუწყეს დევნა.

ჯარის აღლუმი ქუთაისში: ქუთაისში რუსის ჯართან ქართველ ცხენოსან ასეულსაც მიაღებინეს მონაწილეობა პროცესიაში. ხალხი რომელიც გამოყვანილი იყო ქუთაისში, მდუმარე გვებებოდა ჯარს. მხოლოდ ქართველ ჯარის გამოჩენას მქუხარე ტაშით შეეგება, რადგან ივინი ძველი ჯარის ნაწილი იყო, რომელიც ბოლშევიკებმა იძულებით აიყვანეს თავის სამსახურში.

მუშების გონიერი პასუხი. თფილისის მუშებს წინადადება მისცეს ბურჟუაზიულ უნებში გადასახლებულიყვენ. მაგრამ მათ ამაზე მტკიცე უარი განაცხადეს, ჩვენ პური და ტან-ფეხი გვინდა და დიდ სახლებში გამოქიმევა კუქს ვერ გავვიძღვსო.

კრებები. ხალხი ბოლშევიკების კრებებს არ ესწრება, თუ ძალით არ მოარეკეს.

აჭარა. აჭარაში ბოლშევიკების ატეხება არ უშვებენ. ყველგან ქემალის დროშას აფრიალებენ.

აფხაზეთი. რეზოლიუცია აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შესახებ გამოატანეს ბათოში ბ. ეშვამ, ლაკობამ და სამმა ქართველმა კომუნისტმა, რომელთა თავის თავს აფხაზეთის რევკომი უწყადეს.

მიწის დეკრეტი. საქართველოში მიწაზე საკუთრების გაუქმებამ დიდი არეულობა გამოიწვია სოფელში. რევკომები თავის ნებაზე ანაწილებენ მიწებს დასამუშავებლათ; ზოგან მიწას არიგებენ სულზე, ზოგან მუშა ხელზე, ზოგან მიწას არ აძლევენ ოჯახს, რომლის რომელიმე წევრი ქალაქში მსახურებს და სხვ. ამ ნიადაგზე ამტყუდარი შუთითისა და დავიდარაბის გამო მრავალგან ყანები დაუშუშავებელი რჩება, რის გამო საშინელი შიმშილობაა მოსლოდელი.

რკინის-გზის გაერთიანება. საქართველოს რკინის-გზა გაერთიანეს ამიერ კავკასიის გზასთან. შესდგა საერთო მმართველობა, როგორც ეს იყო 1918 წლის 26 მაისამდე. გაზეთების ცნობით ეს საკითხი გადაწყვიტა უმაღლესმა კომისიამ ს. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით, და მოსკოვიდან გამოგზავნილი წევრების, მე-11 არმიის სარდლის გეკერის, რუსეთის გზათა კომისრის ფომინის და ამიერ-კავკასიის გზათა წარმომადგენელის მონაწილეობით. ბოლშევიკებს ეს ცნობა ეხამუშათ და მათ გამოაცხადეს, რომ ეს წევრები მოწვეული იყვენ როგორც ექსპერტებო, ხოლო საკითხი სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის წარმომადგენლებმა გადაწყვიტესო. ცხადია, პირველი ცნობა უფრო აქლთა ფაქტიურ სინამდვილესთან.

პორტების გაერთიანება. ბათომის პორტის მმართველბათ დანიშნულია ყველა რუსეთის მოქალაქენი. ივინი დანიშნა შავი ზღვის გლავკომპორტის მიერ. ცხადია საქართველოს საბჭოთა მთავრობა ამ სავანშიაც მოსკოვზე დამორჩილებული გამხდარა.

პრ. კავშირების გამგეობების დანიშვნა. ბათომში თითქმის ყველა პროფ.



კავშირის გამგეობები ზევიდან იქნა დანიშნული ბოლშევიკებისაგან; მუშათა დიქტატურაც ასეთი უნდა.

ამნისტის უდევრი. მიუხედავთ ამნისტის გამოცხადებისა ბოლშევიკები მიიწვეულდნენ სისხლის სამართლის და განსაკუთრებულ რაზმის წევრების გასამართლებას ძველი სამსახურისათვის. მათ აბრალებენ ძველ მთავრობის დროის სამსახურს და აგზავნიან საზოგადო სამუშაოზე 4—5 წლით. ამ გეგმით „გასამართლებულ“ იქნა დ. ალ-ნიზაია, დოლაბერიძე და სხვ.

პარტია თუ სახელმწიფო? საქართველოს კომ. პარტიის ბრძანებით, რომელიც ყველა დაწესებულებებს დაეგზავნათ, პარტიის წევრნი და კანდიდატები უნდა მიღებულ იქნენ სამსახურში ყოველ რიგს ვარეშე და იმავე დღეს.

პროვოკაციული ბომბა და მენშევიკების დატყულება. ქ. ქუთაისში უცნობმა პირებმა, რომელთა აღმოჩენაზე არავის უზრუნია, ბომბა ესროლეს ბ. საშა გეგუქორს, საგუბერნიო კომისარს, ორი წუთით გვიან მისი ვაჟის შემდეგ. ეს მოხდა დღის 12 საათზე 7 მაისს. ამ მოზეხით შეუდგნენ მენშევიკების პარტიის წევრთა დატყულებას. ყველაზე პირველთა დატყულებას შეუდგნენ ბ. ხონის კომუნისტები. მათ წინასწარ „იგრძენეს“ ბომბის სროლა დამივე 7 მაისს დღის ათი საათიდანვე შეუდგნენ მენშევიკების დატყულებას, ამას მოყვა შემდეგ ქუთაისი და ბათუმი. სულ დატყულებულია დაახლოებით 1000 კაცამდე, უმეტესათ მოწინავე მუშები და ინტელიგენტები, მათ შორის: ზ. გურული, გ. ფალავა, კ. ქუმბურიძე, კ. გოგოლაძე, გიზო ანჯაფარიძე, კალაძე და სხვები. დატყულებულებს აგზავნიან თფილისში; როდესაც ბათუმიდან აგზავნიდნენ ბათუმის ქალაქის თავს გ. ანჯაფარიძეს და სხვებს, მოქალაქეებმა თავი მოიკარეს აზიზებს მოედანზე მათი ვაგონის წინ რომ თავის თანაგრძნობა გამოეთქვათ უდანაშაულო მსხვერპლთათვის.

ახალი სხივი. ბოლშევიკების ხელში გახ. ახალი სხივი“ გამოვიდა მხოლოდ

სამი ნომერი. შემდეგ იგი ბოლშევიკების სამართლიანი კრიტიკისთვის დახურეს და თანამშრომელნი: კ. ნინიძე, ნ. იმანიშვილი და მ. ხოქოლავა დააპატიმრეს.

პარტიები საქართველოში. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ ლეგალიზაციას მისცემენ მხოლოდ იმ პარტიებს, რომელთაც სწამთ მესამე ინტერნაციონალი და საბჭოთა სისტემა. ასეთი აღმოჩნდა თვღოლონტი და ყოფილი ბოლშევიკი, შემდეგ ფედერალისტთა დეპუტატი შ. ნუსუბიძე, თავის მომხრეთა მცირე ჯგუფით. ეს უკანასკნელნი სცემენ ვაზებს: „სოც. ფედერალისტი“. სოც. ფედერალისტთა პარტიამ ეს პირნი პარტიიდან გააძევა და მათი გაზეთის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, რომ იგი პარტიის ვაზეთი არ არის.

საჩუქარი მოსკოვს. ქ. გორში დაიბარეს კომუნისტებმა 4 მატარებელი დანგრეული გორიდან მოსკოვში ვაშლების გასაგზავნათ ზედ წარწერით „მოსკოვის მუშებს საქართველოს გლეხებისაგან“.

პატრიოტული პიესები. საქართველოში აკრძალეს „ლოლატის“ და „სამშობლოს“ წარმოდგენა. მიზეზი ის იყო, რომ ხალხი წარმოდგენის დროს ძლიერ პატრიოტულ გრძნობებს იჩენდა. წარმოდგენები ანტი-ბოლშევიკურ დემონსტრაციათ ხდებოდა.

მობილიზაცია. ნებაცყოფლობითი მობილიზაცია, რომელიც გამოაცხადეს ბოლშევიკებმა ქართული წითელი არმიის შესაქმნელათ, კრახით გათავდა. მათ მოწოდებაზე თითქმის არავინ გამოცხადებულა.

— ბოლშევიკების ბრძანებას იარაღის ჩაბარების შესახებ მცხოვრებლები სრულ სიუზიმით უპასუხებენ. არავინ იარაღს არ აბარებს. ზოგიერთ სოფლებში ისინი ძალით ცდილობენ ხალხს იარაღი აართვან. ამ ნიჟადაგზე, უკვე ჰქონდა ადგილი კონფლიქტებს. მოსალოდნელია რეპრესიები.

აღმოსავლეთის კომიტეტი, რომელიც ბაქოში იყო დღემდე, უკვე თფილისში გადმოსულა. ამ რიგათ თფილისი აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრათ გაუზხდიათ ბოლშევიკებს.